# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 2 სექტემბერი, 2010 წელი.

№164 (6530)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge | ვებ გვერდი: www.open.ge | ფასი 50 თეთრი.




## ბათუმური „ზღვაკონცერტების“ ინტერმეცო

## ვინ არის საქართველოს ისტორიაში ყველაზე საზიზღარი მოღალატე? 4

## საკონსტიტუციო ფარსი 2

ეს ქვეყანა საქართველოა თუ ს ა ა კ ართველო?..



## პურების კაპრიზები, ეკონომიკური კრიზისი და ჩინეთის ალმავლობა 5



## აფხაზეთის ლიდერზე ზემოქმედება ძლიერდება 8

## სამხედრო სამსახური ქალაღობაზე არ უნდა იყოს დაფუძნებული 3






8

## მიშამ ფრენა ისწავლა

## აფხაზური საზოგადოებისა და ხელისუფლების დამოკიდებულება აფხაზეთში შექმნილ ვითარებაზე დიამეტრალურად განსხვავდება 3 4



## „გაუმარჯოს უხეო პარკებს!“ 2

ეკოლოგიური სამართლის ცენტრი მერიის წინააღმდეგ

განსჯა

# ს ა ა კ ონსტიტუციო ფარსი

## ეს ქვეყანა საქართველოა თუ ს ა ა კ ართველო?..

**ქვეყნის ახალი კონსტიტუციის პროექტის განხილვა აგვისტოს პაპანაქებაში რამდენჯერმე მოაწყვეს თუ ჩააწყვეს და თანაც „საყოველთაო-სახალხოდ“ მონათლეს. ცოტა გაუგებარი კია, ზაფხულის ამ მკვდარ თვეში (საზოგადოებრივი ცხოვრების თვალსაზრისით), როცა ამდენი ხალხი დასასვენებლადაა გაკრეფილი, რა საყოველთაოობა-სახალხოობაზეა ლაპარაკი...**

უფრო არსებითი კი, ჩემი ფიქრით, სხვა რამეა და „მდაბიორის“ (თუ დიდი კონსტანტინე-ბატონის ლექსიკას დავესესხებით) ენაპირით სწორედ ამაზე უნდა ვისაუბრო.

ჯერ ერთი, რატომ უნდა სჭირდებოდეს ქვეყნის კონსტიტუციას ასე ხშირი ცვლა, თითქოს პრემიერებისა თუ მინისტრების ხშირი ცვლა არ კმაროდეს. ყოველ ჯერზე გვარწმუნებენ, ცვლილებები აუცილებელი და საჭიროა, ტექსტი მხოლოდ ასეთი უნდა იყოსო და მერე მაინც ცვლიან; მეორეც — ყველამ იცის, ყველამ თუ არა, ბევრმა, რომ ეს ახალი პროექტი პრეზიდენტის შორეულ დამიზნებას ემსახურება — პრეზიდენტობის ვადის გასვლის შემდეგ პრემიერად გახდომასა და ხელში ძალაუფლებისა თუ უფლებამოსილებათა ახლებურად კონცენტრაციას; იციან, მშვენივრად იციან, ისიც იციან, რომ სააკაშვილი ქვეყნის ერთპიროვნული მართვის „პუტინის ვარიანტზე“ მიდის და 2013 წლიდან პრემიერის თარგზე გამოჭრილ კონსტიტუციაზე, საპრეზიდენტო რესპუბლიკიდან საპრემიერო რესპუბლიკაზე გადასვლაზე მუშაობს; იციან და ისეთ იერს იღებენ, თითქოს ახალი კონსტიტუცია საქართველოს არსებითად სჭირდება. ფარსიც სწორედ ამაში მდგომარეობს, თან საკონსტიტუციო ფარსი კი არა, ს ა - ა კ ონსტიტუციო ფარსი...

ყველაზე მოწადინებული კი ამ ფარსში პარლამენტის თავმჯდომარე გახლავთ, ეს „საყოველთაო-სახალხო“ შეკრებების წარმმართველი, ეს ყველაზე უსახური სპიკერი ახალი ქართული პარლამენტარიზმის ისტორიაში, ეს სააკალაქია (ნეტავ ერთხელ თუ მაინც შეუბრუნა პრეზიდენტს სიტყვა, თუმცა სიტყვაში სიტყვაშესაბრუნებელი სიტუაცია უამრავლჯერ უნდა ჰქონოდა).

ეგ არამკითხე უცხოელებიც, ვენეციის კომისიაა თუ სხვა ვინმე და რამე, რომ ჩვეულებისამებრ უკრავენ კვერსა და ტაშს საქართველოში წამოწყებულ ყოველ სახელისუფლებო უმსგავსობას...

კარგი, გახდა პრემიერი მიხეილ სააკაშვილი და ახალმა კონსტიტუციამ მიაბოძა ხელთ ყველაფერი, რაც უნდოდა. მერე? ჯერ პრეზიდენტი რა იყო და არის და პრემიერი რა იქნება! პრემიერმა სამინისტრე კადრების შერჩევა მაინც ხომ უნდა შეძლოს და რაღაცა შემრჩევია, ახლავე გაგახსენებთ და მოგახსენებთ.

ეკა ტყეშელაშვილის ამბით დავიწყოთ, სულ რამდენიმე წელიწადში ისეთი თანამდებობები რომ „მოატარა“, როგორც იუსტიციის მინისტრობაა, საგარეო საქმეთა მინისტრობაა (ცხინვალის ომი ხომ სწორედ მისი „საგარეოობის“ დროს მოხდა), როგორც გენერალური პროკურორობაა და ახლა კიდევ უშიშროების საბჭოს თავმჯდომარედ ზის (იმიტომაც ვგრძნობთ თავს უშიშრად...); ნეტავ ამ ახალგაზრდა ქალბატონს რა ასეთი გამოცდილება ჰქონდა, ან რა გაქანება თუ დიაპაზონი შეატყო...

დიმიტრი შაშკინის მაგალითით გავაგრძელოთ, ვინმემ თუ აგვიხსნა, ან თუ ჩათვალა საჭიროდ აეხსნა საზოგადოებრიობისთვის, თუ რა შეხება, თანახება, დამოკიდებულება ჰქონდა ამ კაცს განათლებისა და განსაკუთრებით, მეცნიერების სფეროებთან, განათლებისა და მეცნიერების მინისტრად რომ მოგვევლინა (სხვა საქმეა, მერამდენედ არცთუ გრძელი ხნის სიგრძეზე); გამინისტრებამდე ან კვლევით ინსტიტუტში თუ უმუშავია, მეცნიერული შრომა თუ დაუწერია და გამოუქვეყნებია, საქართველოში მეცნიერების განვითარების ისტორიას ან რომელ და რამდენ ქართველ მეცნიერს იცნობდა, რომ პენიტენციალური სისტემის შეფობიდან ასეთ ნახტომზე დათანხმდა...

ვერა ქობალიას მაგალითი? ჩაფრინდა წლევანდელ თებერვალში ვანკუვერში, ზამთრის ოლიმპიადაზე ბატონი პრეზიდენტი, დაადგა თვალი ერთ ახალგაზრდა ქალბატონს და რამდენიმე თვის მერე ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრად არ ჩამოიყვანა იმ შორეული კანადიდან? ეს მდგრადი განვითარება რაღა უბედურებაა? ეგებ ისა, რომ პროდუქტებზე ფასები უკვე მართლაც რომ **მ დ გ რ ა დ ა დ** ვითარდება...

კიდევ რამდენი ასეთი „ნიმუში“ პრეზიდენტის საკადრო პოლიტიკისა. პრემიერობაში მოგვევლინება უკეთეს „მეკადრედ“ და კადრების შერჩევაში უკადრისს აღარ იკადრებს?..

მეურნე? ჭკვიანი მეურნე ხომ უნდა იყოს პრემიერი? მეურნეობის როგორი მცოდნეც ბრძანდება, არა ჩანს განა? ამაზე ხომ მთელი ცალკე მსჯელობა გახდება საჭირო...

მოკლედ (თუ ამას მოკლე ჰქვია), ახალი საკონსტიტუციო პროექტი, ჩემი მდაბიური თვალთახედვით, არის მიხეილ სააკაშვილის ახალი და მორიგი ხუშტური; რაც მოეპრიანება და როგორც მოეპრიანება, ყველაფერს ისე აკეთებს ამ საცოდავ ქვეყანაში, არც გარემოცვის აზრს კითხულობს, არც საზოგადოებრივს — საზოგადოებრივი გამორჩევით არ ენაღვლება. მგონი ლუი XIV ამბობდა — „სახელმწიფო — ეს მე ვარო“. ბატონი ჩვენი პრეზიდენტი უთუოდ ანალოგიურად ფიქრობს — საქართველო მე ვარო.

დიახ, ეგებ ვერ გითხრათ, რა ჰგონია სააკაშვილს საიქიო, **სააქაო** კი ნამდვილად ჰგონია — **სააკაო!** საქართველო კი ნამდვილად ჰგონია **საააკართველო!**

„როდემდე? ოხ, როდემდე, როდემდე? ჩემო საყვარელო მიწაწყალო, მომეც ამის პასუხი!..

**ლუკა გორგაძე**

## ნუთუ პუტინის გზას გავყვებით?!.

### ეს უთუოდ გამოიწვევს სახელისუფლებო სისტემის შემდგომ გადაგვარებას.




**ნუ გადავაქცევთ ახალ კონსტიტუციას ხელისუფლებაში მავანთა მუდმივად დარჩენის შანსად!..**

დედაქალაქი

**ეკოლოგიური სამართლის ცენტრის წარმომადგენელი ნიკოლოზ მჟავანაძე შეშფოთებულია თბილისში პარკებისა და სკვერების განადგურებით. მან საქართველოს მწვანეების ოფისში საგანგებო პრესკონფერენცია გამართა და პარკებისა და სკვერების განადგურებაში თბილისის მერია დაადანაშაულა.**

— უკვე ტრადიციად იქცა დასასვენებელ ადგილებში ხეების გაჩეხვა და მათ ადგილზე გამგეობის ოფისების მშენებლობები, — აღნიშნა ნიკოლოზ მჟავანაძემ, — დიდუბე-ჩუღურეთისა და გლდანი-ნაძალადევის გამგეობები გამწვანებულ ტერიტორიაზე აშენდა. ამჯერად ფიზიკის ინსტიტუტის ტერიტორიაზე ას ძირამდე ხე მოიჭრა და მათ ადგილზე ვაკე-საბურთალოს გამგეობაა წამომართული.

რკინიგზელთა სასახლესთან მდებარე სკვერში ქალაქის გამწვანებისა და ეკოლოგიის სამსახურმა ოცამდე მრავალწლიანი სხვადასხვა ჯიშის ხე მოჭრა და სამუშაოები იმგვარად ჩაატარა, რომ მოჭრას გადარჩენილი ხეებიც გაახმო.

## „გაუმარჯოს უხეო პარკებს!“

### ეკოლოგიური სამართლის ცენტრი მერიის წინააღმდეგ



პრესკონფერენციას ალმაშენებლის გამზირის აღშფოთებული მოსახლეობაც ესწრებოდა. ბატონი თამაზ შუბლაძის განმარტებით, 55-მა მოქალაქემ 5 აგვისტოს საკრებულოს მაჟორიტარ დეპუტატს გიორგი ჩაჩანიძეს წერილით მიმართა. გიორგი ჩაჩანიძემ კი წერილი თბილისის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურს გადაუგზავნა. საკითხი შეისწავლა ყანჩაველის სახელობის მცენარეთა დაცვის ინსტიტუტმაც. 24 აგვისტოთი დათარიღებულ დასკვნაში, რომელსაც ხელს აწერს ინსტიტუტის დირექტორი შ. ყანჩაველი, ჩაწერილია, რომ ალმაშენებლის გამზ. №127-ის (რკინიგზელთა სახლთანძსიახლოეს სკვერში 3 ნეკერჩხლის ხმობის მიზეზი სოკოვანი დაავადება გუზარიოზია. თუმცა, იქვე მინიშნებულია, რომ „მცენარეთა ხმობას ხელი შეუწყო ნიადაგში ტენის ნაკლებობამ“.

თამაზ შუბლაძის თქმით, ნიადაგში ტენის ნაკლებობა გამოიწვია სკვერის შემოსასვლელში მწვანე ზონის მასიური ბეტონით მოპირკეთებამ, ბეტონი წყალს არ ატარებს და, შესაბამისად, ხის ფესვები ვეღარ სუნთქავსო.

გაირკვა, რომ იგივე — მასიური ბეტონით უნდა მოპირკეთდეს სკვერის შუაგულიც. მოსახლეობა შიშობს, რომ ხეებს კვლავ საფრთხე დაემუქრება.

— ჩვენ მოპირკეთების წინააღმდეგი არ ვართ, მაგრამ ვფიქრობთ, რომ ამ შემთხვევაში დაუშვებელია ბეტონის გამოყენება, ის, ბაზალტით უნდა შეიცვალოს, როგორც მოპირკეთდა დედაენის ბაღი და ალექსანდრეს პარკი.

მოსახლეობის განმარტებით, კაუჩუკნარევი ბეტონის საფარი მზისგან უკვე დასკდა, თანაც ბევრგან დალაქულ-დაბინძურებულია. „ერთმანეთთან შეუთავსებელია პარკი და ბეტონი. ადამიანი სკვერში დასასვენებლად მიდის, და არა — ბეტონის სანახავად“.

ნიკოლოზ მჟავანაძე გაოცებულია მერიის საქციელით: „მათი დევიზია — რაც შეიძლება ნაკლები ხე, რაც შეიძლება — მეტი ბეტონი. ცოტა ხანში უხეო პარკებით აივსება თბილისი“.

უახლოეს დღეებში ეკოლოგიური სამართლის ცენტრი ადმინისტრაციული საჩივრით მიმართავს მერიას, თუ ამ ნაბიჯს შედეგი არ მოჰყვება, ცენტრი მერიის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელს შეიტანს.

**ნატა ნიბლაძე**

რეგნუმი

## რუსებმა ახალ ატლასში საქართველოს დაყოფა ვერ გაბედეს

**„ოლმა მედია გრუპის“ მიერ გამოცემულ ატლასში ე.წ. სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი საქართველოს საზღვრებშია მოქცეული.**

**ამის შესახებ ინფორმაციას სააგენტო „რეგნუმი“ ავრცელებს.**

**მისი ინფორმაციით, „ოლმა მედია გრუპის“ მიერ გამოცემული „მსოფლიოს დიდი უნივერსალური ატლასი“ ახალი სასწავლო წლისთვის გამოიცა.**

**„რეგნუმი“ აღნიშნავს, რომ მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის ფედერაციამ ორი წლის წინათ აღიარა აფხაზეთის და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ე.წ. დამოუკიდებლობა, ატლასში ისინი დამოუკიდებელ სახელმწიფოებად არ არის აღნიშნული და ამის ნაცვლად საქართველოს საზღვრებშია მოქცეული.**

**ატლასში საქართველოს შესახებ კი წერია, რომ „ქართველებთან ერთად საქართველოში სომხები, ოსები, აფხაზები, აზერბაიჯანელები და რუსები ცხოვრობენ“.**

ჯი-ეიჩ-ენი

ანალიზის ცდა



*აფხაზეთში მიღებულ შთაბეჭდილებებზე „ინტერპრესნიუსი“ ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დირექტორს ზურაბ შენგელიას ესაუბრა, რომელიც აფხაზი პარტნიორების მიწვევით აფხაზეთში იმყოფებოდა და თბილისში ახლახან დაბრუნდა.*

# აფხაზური საზოგადოებისა და ხელისუფლების დამოკიდებულება აფხაზეთში შექმნილ ვითარებაზე დიამეტრალურად განსხვავდება

**— ბატონო ზურაბ, როგორი შთაბეჭდილებებით დაბრუნდით აფხაზეთიდან?**

— ჩემი ახლანდელი შთაბეჭდილებები წინა შთაბეჭდილებებისგან რადიკალურად განსხვავდება. 2008 წლის ომის შემდეგ პირველად აღმოვჩნდი აფხაზურ საზოგადოებაში. აფხაზური საზოგადოების განწყობა მკვეთრად არის შეცვლილი და უფრო მეტად გამოკვეთილი უპერსპექტივობის გრძნობით გამოირჩევა. ჩემი აზრით, აფხაზური საზოგადოება ახლა უფრო დამძიმებულია რეალობით და ზოგჯერ სასოწარკვეთილებამდეც კი მიდიან.

ჩემი აზრით, აფხაზურ საზოგადოებას ამგვარი განწყობისთვის სამი პრობლემა აქვს. პირველი პრობლემა აფხაზეთში რუსეთის მოქალაქეების საკუთრებასთან დაკავშირებით რუსული პოლიტიკის ლოგიკას უკავშირდება. რუსეთი ასეთ ლოგიკას მიჰყვება — აფხაზები და რუსეთში მცხოვრები ადამიანები რუსეთის მოქალაქეები არიან. თუ აფხაზი ეროვნების რუსეთის მოქალაქეებს რუსეთის ფედერაციის ნებისმიერ რეგიონში აქვთ საკუთრების ქონისა და ბიზნესის წარმოების ყველა უფლება, რატომ იგივეს უფლება არ უნდა ჰქონდეს რუსეთის მოქალაქეს აფხაზეთის ტერიტორიაზე. ეს ის თემაა, რომელიც აფხაზური საზოგადოების დიდ შეშფოთებას იწვევს. რამდენადაც ვიცი, რუსულმა მხარემ სოხუმს წარუდგინა კიდეც რაღაც ვარიანტი, თუ როგორ უნდა მოხდეს ამ პრობლემატური საკითხების დარეგულირება ისე, რომ აფხაზეთში რუსეთის მოქალაქის უფლებები არ დაირღვეს, რუსეთსა და აფხაზეთში რუსეთის მოქალაქის უფლებები თანაბარი იყოს. რამდენადაც სოხუმში მითხრეს, აფხაზეთის ხელისუფლებამ მოსკოვის წინადადებებზე უარი თქვა. ეს არის აფხაზური საზოგადოებისგან მიღებული ინფორმაცია, ამიტომ რამდენად შეესაბამება სიმართლეს, ამაზე თავს ვერ დავდებ.

მეორე პრობლემა გახლავთ ის, რომ ტურისტული სეზონი არ აღმოჩნდა ისეთი ეფექტური, როგორსაც ელოდნენ. ოჩამჩირეში ტურისტთაგან, პრაქტიკულად, არავინ არის. გაგრაში არიან, მაგრამ არა იმდენი, რამდენი ტურისტის მიღების შესაძლებლობაც გაგრას აქვს. გაგრა ტურისტებით დაახლოებით 60-70%-ით არის დატვირთული. ტურისტთა დიდი ნაწილი გაგრასა და ახალ ათონში სოჭიდან და ადლერიდან ერთდღიანი ექსკურსიით, რიწის ტბის, გაგრისა და ახალი ათონის მღვიმის დასათვალიერებლად ჩადის. ტურისტული ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით ოჩამჩირის რაიონში პრაქტიკულად არაფერი არც აშენებულა და განვითარებულა. სოხუმში ახლად აშენებული არაფერია, თუ არ ჩავთვლით 2-3 რესტორანს, რომელიც საკმაოდ ძვირია. ასეთ ფასებს კი საკმაოდ მდიდარი ტურისტი სჭირდება. ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება ორიენტირებულია საშუალოზე დაბალი შესაძლებლობის რუს ტურისტზე. ანუ ის, რომ აფხაზეთში მდიდარი ტურისტი შეიძლება ჩავიდეს, ამ პერსპექტივაზე საუბარი მხოლოდ სამომავლოდ შეიძლება და ამ ეტაპზე არც განიხილება. სოხუმის პლაჟებზე არიან მხოლოდ რუსი სამხედროები თავიანთი ოჯახის წევრებით. წელს სოხუმში ძლიერი ტურისტული ნაკადი არ ყოფილა და, შესაბამისად, ტურიზმიდან სერიოზულ შემოსავლებზე საუბარი ზედმეტია.



ტურისტულ სფეროში შექმნილი ვითარება აფხაზურ საზოგადოებას საკმაოდ აღელვებს. ამას ემატება ვითარება ეკონომიკურ სფეროში. აქტიურად საუბრობენ იმაზე, რომ რუსეთმა ჩაკეტა საზღვარი და რუსეთში აფხაზური პროდუქცია ვერ გააქვთ. ახლა საზღვარი 15 სექტემბრამდეა ჩაკეტილი, ვარაუდობენ, რომ 15 სექტემბრის შემდეგ საზღვარს 15 ოქტომბრამდე ჩაკეტავენ და მერე ისევ გააგრძელებენ შეზღუდვის ვადებს. საუბრობენ იმაზეც, რომ მზად არიან პროდუქციის ენგურსგამოღმა გადმოტანაზე, თუ, რა თქმა უნდა, მათ პროდუქციას ჩვენთან ვინმე შეისყიდის. ეს ეხება ჩაის, თხილს. ციტრუსებზე საუბარი ნაადრევია, მაგრამ შესაძლოა, ციტრუსების გატანაზეც შეექმნათ პრობლემები.

მესამე საკითხად გამოვყოფდი იმას, რომ აფხაზურ საზოგადოებას წელს რუსეთის მიერ აფხაზური დამოუკიდებლობის აღიარების ორი წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებების აღნიშვნა უცნაურად ეჩვენა — ხელისუფლება ამ დღის აღსანიშნავად სერიოზულად ემზადებოდა და სერიოზული ღონისძიებები იყო დაგეგმილი, მაგრამ ამ დღეს მოსკოვიდან სოხუმში არავინ ჩასულა. რუსეთის სახელით აფხაზეთის ხელისუფლებასა და საზოგადოებას რუსეთის „ელჩმა“ აფხაზეთში გრიგორიევმა მიულოცა. სოხუმში არ ჩამოსულა კრასნოდარის გუბერნატორი ტკაჩოვიც. მისმა წარმომადგენელმა აფხაზეთის ხელისუფლებას ავტოინსპექციის 6 ახალი მანქანა გადასცა. დაგეგმილი იყო ახალგაზრდული დისკოთეკა სოხუმში არსებული ე.წ. ბრიხალოვკას წინამდებარე მოედანზე, მაგრამ სინათლე რამდენჯერმე ჩაქრა და შეიძლება ითქვას, რომ დისკოთეკაც და სხვა სადღესასწაულო ღონისძიებებიც მოსალოდნელზე ნაკლებად საზეიმო ვითარებაში ჩატარდა.

**— როგორ ესახებათ ქართულ-აფხაზური ურთიერთობების მომავალი იმ ადამიანებს, რომლებთანაც თქვენ გქონდათ ურთიერთობა? რამდენად ასახავს მათი განწყობა საზოგადოების უმეტესობის დამოკიდებულებას და რამდენად განსხვავდება იგი სოხუმის ხელისუფლების პოზიციისგან?**

— წინა წლებისგან განსხვავებით, ხალხი თავისუფლად საუბრობს პოლიტიკაზე. აშკარად გამოთქვამენ კრიტიკულ დამოკიდებულებას ბაღაფშის მიმართ და არსებულ ვითარებაში ხელისუფლებას ადანაშაულებენ. სოხუმის რამდენიმე კაფეში არსებობს სტიქიურად შექმნილი და რეალურად არსებული „პოლიტკლუბები“. ერთხელ ასეთ კლუბში ხელისუფლების ოპონენტსა და ექს-ვიცე პრეზიდენტ ხაჯიმბასაც კი მოვკარი თვალი. ამ „პოლიტკლუბებში“ ხელისუფლებას მწვავედ აკრიტიკებენ. ერთი მხრივ, ბაღაფშს არძინბას ადარებენ, მაგრამ იმავდროულად აღნიშნავენ, რომ არძინბას დროს აფხაზეთში რუსეთის გავლენა არ იგრძნობოდა და მას რუსები იმას ვერ გაუბედავდნენ, რაც ახლა აფხაზეთში ხდება. აშკარაა, რომ პოლიტიკური პლურალიზმი აფხაზეთში ახლა მეტია, ვიდრე, ვთქვათ, 2008 წლის აგვისტოს ომამდე.

იხ. 4 გვ.

ჯარიმების შიშით

# სამხედრო სამსახური ძალადობაზე არ უნდა იყოს დაფუძნებული

**„კომანდოსის“ ყოფილი წევრი ზურაბ ფირცხალაიშვილი თავდაცვის სამინისტროსთან 4-წლიანი კონტრაქტის ვადის გასვლამდე, გაუარესებული ჯანმრთელობის მდგომარეობისა და დედის უმძიმესი ავადმყოფობის გამო 2 წელიწადში წამოვიდა სამხედრო სამსახურიდან. „კომანდოსის“ წევრის დათხოვნა არც ერთმა მხარემ (მოსამსახურე, სამინისტრო) ოფიციალურად არ გააფორმა. არსებობდა ფირცხალაიშვილის სიტყვიერი მოთხოვნა და უშუალო ხელმძღვანელობის ასევე სიტყვიერი თანხმობა.**

მაგრამ გავიდა დრო და ბაჩო ახალაიას უწყებას ახლა მოაგონდა, რომ „კომანდოსის“ წევრი თვითნებურად იყო წასული, რითაც დაირღვა კონტრაქტის პირობები. მას სახლში პოლიცია მიუგზავნეს და ავადმყოფი (არსებობს ოფიციალური ცნობებიძ) ცემა-ტყეპით წაიყვანეს პოლიციაში. მოსაკითხად მისულ ახლობლებს იგი უკვე განსასჯელის სტატუსით დახვდათ. საქმე სასამართლომდე მივიდა. დაკავებულს არ უშველა წარდგენილმა ცნობებმა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ. არც ოჯახურმა მდგომარეობამ იქონია რაიმე გავლენა. პროკურორმა გირაოს სახით 5 ათასი ლარი მოითხოვა, შემდეგ კიდევ 500. ეს თანხები რომ არ ჰქონდათ, ყოფილი ჯარისკაცის ოჯახმა გირაოში მიწის ნაკვეთები ჩადო, თუმცა, როგორც შემდგომ გაირკვა, გამოძიებას ეს არსად არა აქვს ფიქსირებული. ავადმყოფი კაცი გირაოთი გამოუშვეს (თანხები მითითებული არ არისძ. მაგრამ ცოტა ხანში სასამართლომ ფირცხალაიშვილს დაუსწრებლად მიუსაჯა სამწლიანი პატიმრობა, პლუს ჯარის მიტოვებისთვის დააკისრა 36 ათასი ლარის გადახდა. ადრე გადახდილი 5500 ლარი უგზო-უკვლოდ გაქრა.

ყოფილ კონტრაქტორებს თავდაცვის სამინისტროსთან ხელი აქვთ მოწერილი კონტრაქტზე, რომლის დარღვევის შემთხვევაში ჯარისკაცი იხდის სოლიდურ თანხას. ამას ემატება ყოველი ვადაგადაცილებული დღე და ჯარიმის ჯამი საბოლოოდ 30-40 ათას ლარს აღწევსო, ამბობენ ადამიანის უფლებათა დაცვის ცენტრში.

მიუხედავად დიდი ჯარიმებისა, ხელშეკრულების დამდებ პირს, მისი დარღვევის შემთხვევაში ეკრძალება სასამართლოში თანხის გამო რაიმე სარჩელის შეტანა. დაქირავებული პირი სასამართლოდანაც კი დაუცველი ხდება — გვიხსნიან ამ საქმეში ჩახედული იურისტები და იქვე დასძენენ, რომ თავდაცვის სამინისტრო ბოროტად იყენებს კონტრაქტის იმ მუხლს, რომელიც პირგასამტეხლოს ეხება გასულ დღეებთან დაკავშირებით. შეგნებულად ელოდებიან 2-3 წლის გასვლას, რათა სერიოზულად გაიზარდოს საჯარიმო სანქციები.

სამხედრო ექსპერტის გიორგი თავდგირიძის განმარტებით, შედარებით ნორმალური საკონტრაქტო პირობები ირაკლი ოქრუაშვილის მინისტრობის დროს შეიცვალა აბსურდული და მიუღებელი სახით.

თავდგირიძე ამბობს, რომ ნორმალურ სახელმწიფოში სამხედრო სამსახური შიშსა და ძალადობაზე არ არის აწყობილი. უცხოურ ქვეყნებში ჯარისკაცი იღებს ვალდებულებას სახელმწიფოს ან კონკრეტული პირის წინაშე. თავის მხრივ სახელმწიფოც იღებს ვალდებულებას კონკრეტული პირის მიმართ. ორმხრივად ხელმოწერილ დოკუმენტში შეთანხმებულია სოციალური პროგრამები, ანაზღაურება. იქ სამხედროები ჯარიმის შიშით კი არ არღვევენ კონტრაქტს, არამედ იმიტომ, რომ გათვალისწინებული წლების გასვლის შემდეგ პირობის დარღვევების გარეშე შესრულების შემთხვევაში, ისინი უზრუნველყოფილნი არიან მაღალი პრემიებით, უფასო სწავლებით, მანქანითა და ა. შ. როგორც პრაქტიკამ აჩვენა, ეს უფრო მაღალი მოტივაციაა დაქირავებულთათვის, ვიდრე ჯარიმების შიში.

სპეციალისტთა განმარტებით, პრობლემა ისაა, რომ ჩვენს ქვეყანაში კადრების შერჩევის დაბალი დონეა. როდესაც ადამიანი სამხედრო სამსახურში მიდის, თავდაცვის უწყებამ უნდა დაახვედროს სპეციალური დიაგნოზის დამსმელი სამსახური, რომელიც გამოიკვლევს, არის თუ არა პიროვნება ფსიქოლოგიურად მზად, გახდეს პროფესიული ჯარისკაცი. ამით წინასწარ მოხდება სანქციებისაგან თავის დაზღვევა.

დღეისათვის თავდაცვის სამინისტრო აქტიურად აგრძელებს კონტრაქტის დამრღვევთა გამოვლენას და მათ სასამართლოში გადაცემას. „ბაჩოს“ უწყება ჯარიმებით აპირებს თავის წვლილი შეიტანოს გამოცარიელებული ბიუჯეტის შევსებაში.

ზაზა ბილიხოძე

ალიან-ჩალიანი

## ადგილობრივები ცხინვალელებით ჩაანაცვლეს

**ახალგორის ოკუპირებული რაიონის სოფელ მოსაბრუნთან მდებარე ოსი სეპარატისტების უკანონო საგუშაგოზე ახალგორელი ე.წ. ძალოვანები ცხინვალიდან ჩამოყვანილი ოსი სამხედროებით ჩაანაცვლეს.**

**როგორც ახალგორელებმა განაცხადეს დაახლოებით ორი კვირის წინ რაიონში ცხინვალის სეპარატისტული რეჟიმის ე.წ. საზღვრის დაცვის დეპარტამენტის წარმომადგენლები ჩამოვიდნენ, რომლებმაც საგუშაგოზე ადგილობრივები ჩაანაცვლეს.**

**მათი განმარტებით, ცხინვალის სეპარატისტული რეჟიმი ახალგორის ე.წ. ადგილობრივ ხელისუფლებას და ე.წ. ძალოვანებს არ ენდობა, რომელთა უმეტესობაც რაიონში მცხოვრები ოსი ეროვნების მოსახლეობისგან არის დაკომპლექტებული.**

**აღსანიშნავია, რომ ახალგორის რაიონში ყველა ქვედანაყოფს ცხინვალელი ე.წ. სამართალდამცველები ხელმძღვანელობენ.**

**ცხინვალიდან ჩამოსული სამხედროები და რუსი ოკუპანტები, რომელთაც უკანონო საგუშაგოები სოფელ მოსაბრუნთან ერთმანეთისგან დაახლოებით 500 მეტრის დაშორებით აქვთ მოწყობილი, ყველა სამარშუტო ტაქსს და ავტომობილს ჩხრეკენ, რომელიც რაიონში შედის ან გამოდის.**

ჯი-ეიჩ-ენი

№ 164. ხუთშაბათი, 2 სექტემბერი, 2010 წელი.

ანალიზის ცდა

# აფხაზური საზოგადოებისა და ხელისუფლების დამოკიდებულება აფხაზეთში შექმნილ ვითარებაზე დიამეტრალურად განსხვავდება

(მესამე გვერდიდან)

ასეთ კლუბებში ქართველებთან ურთიერთობის თემა მსჯელობის ერთ-ერთი აქტუალური თემაა. აფხაზები რუსი სამხედროების მიერ აფხაზი ქალის გაუპატიურების, აფხაზი ბავშვების ცემისა და დაჭრის ფაქტს, რომლის შედეგადაც ერთი ახალგაზრდა გარდაიცვალა, ქართველებთან ურთიერთობას ადარებენ. ამ თემებზე საუბრისას ითქვა ასეთი ფრაზაც – „ამდენი ხანი ვცხოვრობდით ქართველებთან და არასდროს მომხდარა არათუ აფხაზი ქალის გაუპატიურება, აფხაზი ბავშვებისათვის შეურაცხყოფის მიყენებაც კი“. აფხაზური საზოგადოებისთვის ქართულ-აფხაზური ურთიერთობა, გარკვეულწილად, რუსებთან ურთიერთობაში კრიტერიუმის როლს ასრულებს. ასეთი საუბრებისას ბაღაფშის ბევრი კრიტიკა მოვისმინე, მაგრამ ჩემთვის საინტერესო იყო ის ბრალდება, რომლითაც მას ქართველებთან ურთიერთობების მოუწესრიგებლობას საყვედურობენ. ასეთი რამეც მოვისმინე – „განა ბაღაფშს არ შეეძლო, თბილისისთვის ისეთივე წინადადებები შეეთავაზებინა, როგორიც არძინბამ შევარდნაძეს 1997 წელს შესთავაზა და, რომელიც აფხაზეთსა და საქართველოს შორის კონფედერაციული ურთიერთობების დამყარებას ითვალისწინებდა?“ – კითხულობენ ხელისუფლების ოპონენტები. ეს აფხაზურ საზოგადოებაში ის ახალი ნოტებია, რომელიც მათ აწუხებთ და მათივე წრეში ამ საკითხებზე ღიად მსჯელობენ. ვერ ვიტყვი, რომ ქართველებისადმი დამოკიდებულება რადიკალურად არის შეცვლილი, მაგრამ აფხაზურმა საზოგადოებამ დაიწყო ფიქრი და აზროვნება იმ მიმართულებით, რომ ასე, როგორც ახლაა, არ შეიძლება, საჭიროა ქართველებთან რაღაცნაირად ურთიერთობების დალაგება.

**– რამდენადაც ვხვდები, აფხაზური საზოგადოება დამოუკიდებლად თავს არ აღიქვამს, მაგრამ ქართული მხარისგან აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებას დაჟინებით მოითხოვს, ასეა?**

– არა, დაჟინებით არა, მაგრამ ფიქრობენ იმაზე, თუ რა შეიძლება მოხდეს იმ შემთხვევაში, თუ საქართველო აფხაზეთის დამოუკიდებლობას აღიარებს. მათ აფხაზი ხალხის გადარჩენის ერთ-ერთ საშუალებად საქართველოს მიერ აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარება მიაჩნიათ.

**– სოხუმის ხელისუფლების პრემიერ-მინისტრმა სერგეი შამბამ „ინტერპრესნიუსთან“ ინტერვიუში განაცხადა, რომ „ის ურთიერთობები, რომელიც რუსეთსა და აფხაზეთს შორის ყალიბდება, აფხაზურ მხარეს სავსებით აწყობს“. მისივე მტკიცებით, რუსეთის მიერ აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებით „აფხაზეთმა მეტი სარგებელი მიიღო, ვიდრე საფრთხე, აფხაზეთმა უსაფრთხოებისა და ეკონომიკური განვითარების მყარი გარანტიები მიიღო“. თქვენი დაკვირვებით, აფხაზური საზოგადოებაც ასე მიიჩნევს? და კიდევ, რამდენად ემთხვევა ოფიციალური ხელისუფლების ხედვა საზოგადოებაში არსებულ განწყობას?**

– აფხაზეთში ყოფნისას ხელისუფლებასთან არავითარი შეხება არ მქონია, მაგრამ სრული პასუხიმგებლობით შემიძლია ვთქვა, რომ სოხუმში, გუდაუთაში და გაგრაშიც, სადაც კი შეხვედრები მქონდა, აფხაზური საზოგადოებისა და ხელისუფლების დამოკიდებულება აფხაზეთში შექმნილ ვითარებაზე ერთმანეთისგან დიამეტრალურად განსხვავდება. თუ აფხაზეთში რუსეთის



ყოფნა უსაფრთხოების გარანტად კიდევ შეიძლება ჩათვალონ, რაც შეეხება განვითარების პერსპექტივას, ამას ნამდვილად ვერ ხედავენ, პირიქით, ფიქრობენ, რომ თუ აფხაზეთში არსებული ვითარება კიდევ 20-30 წელი გაგრძელდა, აფხაზები გაქრებიან.

ბევრი ძალიან დიდი გულისტკივილით იმასაც ამბობს, რომ თუ ასე გაგრძელდა, აფხაზები იძულებული გახდებიან, აფხაზეთიდან წავიდნენ. „ამას ვერ გავუძლებთ“, – ასეთია აფხაზური საზოგადოების ნაწილის განწყობა. ამიტომ, მე ბატონ შამბას შეფასებებს ვერანაირად ვერ დავეთანხმები. უსაფრთხოების ნაწილში შესაძლოა, საზოგადოებაც ასევე ფიქრობდეს, მაგრამ რაც შეეხება განვითარებას, ამის პერსპექტივას აშკარად ვერ ხედავენ და ხშირად სვამენ კითხვას, – „ღირს კი ამგვარი უსაფრთხოება იმად, რაც დღეს არის?“

**– შამბამ „ინტერპრესნიუსთან“ საუბარში განაცხადა, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში აფხაზეთში საცხოვრებლად და სამუშაოდ ჩასულებს შორის, რუსეთის მოქალაქეების გარდა, არიან ევროკავშირის ქვეყნების მოქალაქეები. თქვენ თუ შეამჩნიეთ აფხაზეთში ამ კატეგორიის მოქალაქეები და თუ – კი, ისინი რით არიან დაკავებული?**

– ასეთი კატეგორიის ადამიანები არც მინახავს. გაგრაში დავინახე ორი შავკანიანი. სხვათა შორის, მათი დანახვა ჩემს აფხაზ მასპინძლებსაც გაუკვირდათ. დღევანდელ აფხაზეთში უცხოელებისთვის დასვენების პირობები აშკარად არ არის.

**– თანამშრომლობის რა პერსპექტივებზე შეთანხმდით თქვენს აფხაზ პარტნიორებთან? თქვენთან თანამშრომლობის სურვილი ხომ არ გამოუთქვამს აფხაზურ უნივერსიტეტს? საუბარი ხომ არ ყოფილა ჩვენთან არსებული ქართულ-აფხაზური ურთიერთოების კვლევის მსგავსი ცენტრის დაფუძნებაზე?**

– ჯერ კიდევ 2000 წელს სოხუმში საზოგადოებრივი ორგანიზაცია „კავკასიელ ხალხთა ინსტიტუტი“ დაფუძნდა. იმავე წელს ამ ინსტიტუტის ფარგლებში, როგორც იურიდიული პირი, ჩამოყალიბდა „ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა განყოფილება“. სახელმწიფო უნივერსიტეტთან მე ურთიერთობა არ მქონია, ყოველ შემთხვევაში, უნივერსიტეტში იცოდნენ, რომ სოხუმში ვიყავი და არავინ შემხმიანებია.

რაც შეეხება აფხაზ პარტნიორებთან შემდგომ თანამშრომლობას, ისევე როგორც შარშან, თბილისში წელსაც ვგეგმავთ ფოტოგამოფენას სახელწოდებით „აფხაზეთი-2010“. ფოტოების გარდა, წარმოვადგენთ იმ ლიტერატურას, რაც აფხაზეთში იყიდება პოლიტიკაზე, ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებზე.

**– რამდენადაც ვხვდები, აფხაზეთიდან კარგი განწყობითა და გარკვეული იმედებითაც კი ჩამობრძანდით?**

– აფხაზეთში ყოფნისას ამჯერად გაცილებით მეტი სადი აზრი მოვისმინე, ვიდრე – წინა წლებში. ვერ ვიტყვი, რომ ყველა მოსმენილი აზრი ჩემთვის მოსაწონი იყო, მაგრამ ფაქტია, რომ საზოგადოებამ ფიქრი დაიწყო. აფხაზურმა საზოგადოებამ დაინახა, რას ნიშნავს ქართველებთან თანაცხოვრება და მხოლოდ ახლა დააფასა მისი მნიშვნელობა. ბოლო 20 წლის განმავლობაში ასეთი რამის დანახვის საშუალება პირადად მე არ მქონია. ამ თვალსაზრისით, ამით ნამდვილად კმაყოფილი ვარ. თუ ჩვენგან გადაიდგმება აფხაზების გადარჩენისკენ მიმართული ნაბიჯები, ამისთვის ჩვენ შევქმნით პირობებს, მხედველობაში მაქვს აფხაზური ეთნოკულტურული სივრცის გადარჩენის პირობები, ასეთ ვითარებაში ჩვენი თანამშრომლობა გაცილებით უფრო შესაძლებელი და ეფექტური იქნება.

**კობა ბენდელიანი**

კერძო აზრი

# ვინ არის საქართველოს ისტორიაში ყველაზე საზიზღარი მოღალატე?

*წერილი რედაქციას*

**საქართველოს ისტორია ძალიან ღარიბია მოღალატეებით და ძალიან მდიდარი – გმირებით.**

ეს არის მთავარი მიზეზი იმისა, რომ ჩვენმა პატარა ქვეყანამ გაუძლო უთვალავი მტრის შემოსევას და ათასწლეულების მანძილზე არ შეწყვიტა არსებობა ურთულეს ვითარებაში.

ქვეყნების უმრავლესობისგან განსხვავებით, საქართველოს არ ჰყავს თავისი იუდა – მოღალატე, ქცეული ეროვნული ღალატის სიმბოლოდ და გამხდარი უარყოფით, სამარცხვინო, საზიზღარ მაგალითად მთელი ჩვენი ერისთვის.

ამ ორიოდე წლის წინათ ევროპის ქვეყნებსა და რუსეთში ჩაატარეს მოსახლეობის გამოკითხვები, რაც მიზნად ისახავდა, ამა თუ იმ ქვეყნის ყველა დროის ყველაზე დიადი შვილის გამოვლენას. ქართველებიც ავყევით ფეხის ხმას და ამგვარი გამოკითხვები ჩავატარეთ. თუმცა ჩავატარეთ არასწორი მეთოდით. არ ყოფილა ღრმა და ყოველმხრივი განსჯა. მაგრამ ამაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებ. ამჯერად მსურს ავტორიტეტულ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციას შევთავაზო, წამოიწყოს კონკურსი საქართველოს ისტორიაში ყველაზე უარესი მოღალატის გამოსავლენად.

დარწმუნებული ვარ, ეს ნამდვილად საჭირო საქმეა. ხალხმა უნდა იცოდეს, ვინ შეასრულა ყველაზე ცუდი როლი ჩვენს ისტორიაში.

ოღონდ ორი წლის წინათ ჩატარებული კონკურსის შეცდომები არ უნდა გავიმეოროთ: საქართველოს №1 მოღალატის კანდიდატურა ღრმად და ყოველმხრივ უნდა იქნას განხილული, გამოკვლეული როგორც ისტორიკოსების, ისე რიგითი მოქალაქეების მიერ. და მხოლოდ ამის შემდეგ „საქართველოს რესპუბლიკის“ მკითხველთა ხმების უმრავლესობით დადგინდეს ვინაობა ყველაზე სამარცხვინო, ყველაზე საზიზღარი ქართველისა.

პირადად მე ამთავითვე შემიძლია წარმოვადგინო ერთი კანდიდატურა და უმოკლესად დავადასტურო კიდეც, რატომ არის იგი საქართვლეოს ისტორიაში ყველაზე საზიზღარი მოღალატე.

არასოდეს არც ერთ ქართველს, არც საქართველოს არაქართველ მოქალაქეს, არ უვნია იმდენი ჩვენი ქვეყნისა და ხალხისთვის, რამდენიც უკვე ავნო და დღესაც ვნებს მიხეილ სააკაშვილი. უთუოდ, მომავალშიც ავნებს, თუ ეს კაცი თავიდან არ მოვიშორეთ.

სააკაშვილმა მოშალა განათლების სისტემა, გაანადგურა უნივერსიტეტი და მეცნიერებათა აკადემია, ცდილობს მიწასთან გაასწოროს ქართული კულტურა, გადააგვაროს მართლმადიდებლური რელიგია, ჩაანაცვლოს ქართული ულამაზესი ტრადიციები და ზნეობა ამერიკული მანქურთიზმით და უზნეობით...

სააკაშვილმა გააჩანაგა საქართველოს წარმოება და სოფლის მეურნეობა. ყიდის ქართულ მიწებს და, საერთოდ, მთელს ჩვენს ეროვნულ სიმდიდრეს. გამათხოვრებამდე მიიყვანა მრავალი ქართველი... ახლა უკვე სურს მსოფლიოს რუკიდან საქართველოს საბოლოოდ წაშლა, მისი გადაქცევით თურქეთის ვილაიეთად (ამას ნიშნავს ლაპარაკი კონფედერაციაზე თურქეთთან და აზერბაიჯანთან).

სააკაშვილის ყველა დანაშაულის ჩამოთვლა შეუძლებელია. ამას გაზეთის მთელი სივრცე არ ეყოფა. სამაგიეროდ, ვერავინ დაასახელებს მის მიერ ნაქმნარ თუნდაც ერთ მამულიშვილურ საქმეს.

თუ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ წამოიწყებს ძიებას საქართველოს ისტორიაში ყველაზე საზიზღარი მოღალატის გამოსავლენად, დარწმუნებული ვარ, მას სხვა გაზეთებიც აჰყვებიან. იმაშიც დარწმუნებული ვარ, რომ ამ სამარცხვინო ტიტულის მოპოვებაში სააკაშვილს კონკურენტი არ ეყოლება.

**თემურ მირიანაშვილი**

ალიან-ჩალიანი

# ობამამ ერაყში ომი დაასრულა

„დღეს ვაცხადებ იმის შესახებ, რომ ერაყში აშშ-ის სამხედრო მოქმედებები დასრულებულია. ოპერაცია „ერაყის თავისუფლება“ დასრულებულია და ახლა ერაყელი ხალხი პასუხისმგებლობას საკუთარ ქვეყანაში უსაფრთხოების მხარდასაჭერად საკუთარ თავზე იღებს“, – განაცხადა აშშ-ის პრეზიდენტმა ტელემიმართვაში ამერიკელი ხალხისადმი, რომელიც ერაყიდან აშშ-ის სამხედრო ძალების ყველა შენაერთის გაყვანის გამო გააკეთა.

მისი თქმით, ეს მნიშვნელოვანი ზღვარი ამერიკელებისთვის უნდა იყოს იმის მანიშნებელი, რომ ისინი თავად არიან საკუთარი მომავლის შემოქმედნი, იმ შემთხვევაში თუ „წინ მივიწევთ დარწმუნებითა და მიზანმიმართულად“.

ბარაკ ობამამ აღნიშნა, რომ ეს ასევე უნდა გახდეს იმის მანიშნებელი მთელი მსოფლიოსთვის, რომ აშშ-ს მიმდინარე ასწლეულში კვლავინდებურად განზრახული აქვს განამტკიცოს საკუთარი ლიდერობა.

– ომის დასრულება პასუხობს არა მხოლოდ ერაყელების, არამედ თავად აშშ-ის ინტერესებს. აშშ-მა გადაიხადა დიდი საფასური იმისათვის, რომ ერაყელი ხალხისთვის დაებრუნებინა საკუთარი მომავალი. ჩავწერეთ რა ეს ბრწყინვალე თავი შეერთებული შტატებისა და ერაყის ისტორიაში, ჩვენ შევასრულეთ ჩვენი ვალდებულება, – განაცხადა აშშ-ის პრეზიდენტმა.

ობამამ აღნიშნა, რომ მან ამერიკელ ხალხს არჩევნებისას მისცა პირობა, ერაყში ომს დაასრულებდა და 100 ათასი ამერიკელი ჯარისკაცი ერაყიდან კიდეც გაიყვანა.

პრეზიდენტმა განმარტა, რომ ერაყში დარჩება თითქმის 50 ათასი ამერიკელი, რომელთაც ექნებათ განსხვავებული მისია – პირველ ყოვლისა კი ადგილობრივი ხელისუფლების მხარდაჭერა ქვეყანაში უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. მაგრამ ეს კონტინგენტიც ერაყს 2012 წელს დატოვებს. ბარაკ ობამამ მოუწოდა ერაყის პოლიტიკურ ძალებს რაც შეიძლება სწრაფად მოახდინონ ახალი მთავრობის ფორმირება.

მან ასევე აღნიშნა, რომ აშშ არ შეწყვეტს დემოკრატიული ერაყის მხარდაჭერას.

ჯი-ეიჩ-ენი

გლობუსი

# ბუნების კაპრიზები, ეკონომიკური კრიზისი და ჩინეთის აღმავლობა

**აშშ-ს ბოლოდროინდელი ეკონომიკური მონაცემებით თუ ვიმსჯელებთ, სრულიად თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიოს ეკონომიკური კრიზისის დასრულებამდე ჯერაც ბევრია დარჩენილი და არც არავინ იცის დასრულების შემდეგ მსოფლიო ისეთივე ლაღი და წარმატებული იქნება, როგორც კრიზისის წინ?**

ეკონომიკურ კრიზისს ბუნების კაპრიზებიც ემატება. კაცობრიობაზე განაწყენებული ბუნება აუწერელი სისასტიკით უპასუხებს ადამიანთა მრავალწლიან ეკოლოგიურ თავხედობას, სამყაროს უმოწყალო დანაგვიანების გამო. წლევანდელი ხანგრძლივი გვალვა მთელ რიგ ქვეყნებში და გამუდმებული წვიმა-წყალდიდობა, განსაკუთრებით პაკისტანში, მნიშვნელოვან შემცირებას გამოიწვევს ძირითადად ხორბალსა და ბრინჯზე. მარცვლეულის შემცირება კი ფასების ზრდის მომასწავებელია. არც მსხვილფეხა და წვრილფეხა რქოსანი პირუტყვის გამოკვების საკითხი მოგვარდება იოლად, შესასყიდი ფასების გაზრდიდან გამომდინარე. ეს კი თავისთავად აწევს ხორცის, რძისა და რძის პროდუქტების ფასებს. მარცვლეულის შორეული ქვეყნებიდან, მაგალითად კანადიდან შემოტანა, ხორბლის მომატებულ ფასებს, ტრანსპორტირების ხარჯებსაც დაუმატებს.

**ფასების გაზრდას ვერც იმპორტზე მცხოვრები საქართველო გადაურჩება. მკითხველს შევახსენებ, რომ საქართველოს უცხოეთიდან შემოაქვს თითქმის ყველა სახის მარცვლეული, მათ შორის ხორბალი და სიმინდი, რომ აღარაფერი ვთქვათ ბოსტნეულზე, კიტრზე, პომიდორზე, კარტოფილზე, ხახვსა და ნიორზე. იყო დრო, როდესაც საქართველო ხორბალსა და სხვა მარცვლეულს თვით ამზადებდა და მეურნე ხელისუფლების გონივრული მოქმედების შედეგად შეძლებდა ქვეყნის მოთხოვნების 80 პროცენტით დაკმაყოფილებას, მაგრამ — არა, დღევანდელი სოფლის მეურნეობის სამინისტროს და მისი უვიცი, თინეიჯერი მინისტრის შემხედვარე, ხორბლისა და სხვა მარცვლეულის მოყვანის საკითხი ისტორიას ჩაბარდა. გაურკვეველი მეტყველებისა და ლექსიკის პატრონი მინისტრის განცხადებით პურის ფასი ხან იმატებს და ხან არა. იმასაც გვეუბნება, უკრაინა მოგვცემსო და ა. შ.**

საქართველოს ხორბლის მომწოდებელ ქვეყნად ავადსახსენებელი რუსეთი იყო, გარდა ამისა მარცვლეული შემოგვქონდა ყაზახეთიდან და უკრაინიდან. გვალვებიდან და ხორბლის მოსავლის განადგურებიდან გამომდინარე, სამივე ქვეყანამ მკაცრი კონტროლი დააწესა ხორბლის ექსპორტზე და არა მარტო დააწესა, არამედ წლის ბოლომდე აკრძალა კიდევაც ქვეყნიდან გატანა. განსაკუთრებული ზარალი განიცადა რუსეთმა. თითქმის სამთვიანმა გაუთავებელმა გვალვამ გაანახევრა მარცვლეულის მოსავალი და მსოფლიოში ხორბლის მესამე ექსპორტიორი ქვეყანა ექსპორტის გარეშე დატოვა. ზოგიერთი „პატრიოტი“ ქართველი რუსეთის გვალვასა და ხანძრებს ლამის სიხარულით უყურებდა: ახია მათზეო, ხშირად გაიგებდით ამ სიტყვებს. მათ წამითაც ვერ წარმოედგინათ, რომ რუსეთის გვალვა ასე სწრაფად და ასე პირდაპირ საქართველოზე იმოქმედებდა.

მსოფლიოს თანამედროვე მოწყობა მჭიდროდ აკავშირებს დიდსა თუ პატარას, განვითარებულ თუ განუვითარებელ ქვეყნებს ერთმანეთთან. გლობალიზაცია, დახვეწილი საკომუნიკაციო ქსელი, შორეულს აახლოებს, მის პრობლემებს შენისად აქცევს.

**„პატრიოტი“ ნაცებისა და მათი აგიტატორების აუსრულებელი ოცნებაა „რუსული უღლისგან თავის დაღწევა“. საინტერესოა რა აქვთ მხედველობაში? მათი მიხედვით რუსეთთან საერთოდ უნდა გაწყდეს სავაჭრო-ეკონომიკური კავშირები, ან თუ ასეთს ექნება ადგილი, საზოგადოებამ არ უნდა იცოდეს ამის შესახებ. ხორბლის კრიზისმა დაგვანახა, რომ ხორბალი რუსეთიდან შემოგვქონდა. თუ რუსეთის „უღლისგან“ გინდა გათავისუფლდე, ამაზე იოლი რა არის — შენ თვითონ დათესე და მოიწიე ხორბლის მოსავალი და არა მარტო ხორბლის. შენ თვითონ მოაშენე მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელი და ნაცვლად არაბებისათვის დედაბუდიანად მიყიდვისა, საკუთარ ქვეყანაზე იფიქრე. მაგრამ არა, ნაცთა ჯიბეები ღრმა და ამოუვსებია. საზოგადოებას კარგად ახსოვს ღორებისა და ფრინველების განადგურების კამპანია, ვითომდა დაავადებების აღკვეთის მიზნით. დაავადება კი ბათუმ-ფოთის პორტებს მომდგარი გაყინული ღორის ხორცი იყო, იმჟამინდელი ბოროტი კამპანია გილიოტინასავით არის დაკიდებული გაძვალტყავებული ქართველი მომხმარებლის კისერზე. საკუთარი ჯიბის გასასქელებელ ავანტიურას სერიოზული დანაშაულის სურნელი ჰქონდა. დაისაჯა ვინმე? გულუბრყვილო შეკითხვაა განუკითხაობით აღსავსე ქვეყანაში. საკუთარ თავს ხომ არ დასჯიდნენ!?**



ბუნებრივი კატაკლიზმები უმძიმეს ვითარებაში აყენებს ეკონომიკას, მისთვის გაუთვლელი ხარჯების გაცემას მოითხოვს, რაც თავისთავად ამძიმებს საბიუჯეტო შემოსავლებს, წინასწარ გათვლილი პროგრამის შესრულებას. ხუთი წლის წინათ ქარიშხალ „კატრინას“ მიერ მიყენებული ზარალისგან დღესაც წელში ვერ გაიმართა ჯერჯერობით მსოფლიოს პირველი ეკონომიკის ქვეყანა — აშშ. ჯერჯერობითო იმიტომ ვამბობ, რომ ჩინეთმა გიგანტური ეკონომიკური წინსვლის შედეგად უკან ჩამოიტოვა მსოფლიოს მესამე და მეორე ეკონომიკები — გერმანია, იაპონია და პირველს ომახიანად მიუკაკუნა. ჩინეთის ნახტომი მოულოდნელი არ იყო ექსპერტი-ეკონომისტებისთვის. ჩინეთის ყოველწლიური ეკონომიკური ზრდის ტემპი საშუალოდ 10.3 პროცენტს უტოლდებოდა, მაშინ, როდესაც სხვა ქვეყნების მაჩვენებლები ძლივს აღწევდა 3 პროცენტს. „ჩინეთს სძინავს, მაგრამ როდესაც გაიღვიძებს, მსოფლიოს შეაზანზარებს — თქვა ნაპოლეონ ბონაპარტმა. იმპერატორის წინასწარმეტყველება ახდა, ჩინეთის სუნთქვა ხუთივე კონტინენტზე იგრძნობა. ეს ქვეყანა მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის დროს მხსნელად და ლოკომოტივად მოევლინა სამყაროს. ჩინეთის დაცემინება სხვაგან ფილტვების ანთებას იწვევს. ამიტომაც მთელი მსოფლიო გაფაციცებით ადევნებს თვალყურს გიგანტის ჯანმრთელობას. მიმდინარე წელს ჩინეთმა შეანელა ეკონომიკური ზრდის ტემპი 10,3 პროცენტამდე პირველი კვარტალის 11.9 პროცენტთან შედარებით, რაც მძიმედ აისახა მსოფლიოზე.

რა მდგომარეობაა აშშ-ში ჩინეთის იმავე პერიოდთან შედარებით ამ ქვეყნის ექსპორტი შემცირდა, იმპორტი გაიზარდა, უმუშევრობამ 9.6 პროცენტი შეადგინა. სავაჭრო დეფიციტის ზრდა იმის მანიშნებელია, რომ ა. წ. II კვარტალში აშშ-ის ეკონომიკა დაგეგმილზე გაცილებით ნაკლებად იზრდებოდა. გათვლის წლიური მონაცემებით მან 2.4 პროცენტს უნდა მიაღწიოს, მაგრამ II კვარტალის დაბალი მაჩვენებლები საეჭვოს ხდის გეგმის შესრულებას. შედარებით უკეთესი ვითარებაა ევროკავშირში, ძირითადად გერმანია-საფრანგეთის ხარჯზე. გერმანიის ხელისუფლება ხალხს დაპირდა, რომ ეკონომიკური მატება ყოველ კვარტალში 2,2 პროცენტს მიაღწევს, რაც საბოლოო ჯამში წლიურ 9 პროცენტს გაუტოლდება. თუ ასე მოხდა, გერმანიას ბოლო 20 წლის განმავლობაში სარეკორდო მაჩვენებელი ექნება. ამერიკა-ჩინეთის ეკონომიკების ზრდის ტემპის შენელება გარკვეულწილად სერიოზულად იმოქმედებს რუსეთის ეკონომიკაზეც, ვინაიდან შემცირდება მოთხოვნილება ნავთობსა და ნავთობპროდუქტებზე, სპილენძზე, ნიკელზე და სხვა. შეგახსენებთ — ჩინეთი არის ნედლეულის უმსხვილესი იმპორტიორი.

ეკონომიკურმა წინსვლამ განაპირობა ჩინეთის განვითარება სამხედრო, კულტურის, განათლების, სპორტის, მეცნიერების დარგებში. ისტორიას ჩაბარდა ის დრო, გასული საუკუნის სამოციანი წლები, როდესაც კომუნისტური ჩინეთი მორიგ მეხუთასე გაფრთხილებას აძლევდა აშშ-ს საჰაერო საზღვრის დარღვევისთვის. თანამედროვე ჩინეთი მზადაა სამხედრო პასუხი გასცეს ყველას, მათ შორის აშშ-ს. ჩინეთის უახლოეს გეგმაში შედის სამხრეთ-ჩინეთის ზღვაზე კონტროლის დაწესება. ამას წინათ პენტაგონმა გამოაქვეყნა წლიური ანგარიში ჩინეთის შეიარაღებული ძალების შესახებ. მისი მიხედვით ჩინეთის სურვილია გაავრცელოს გავლენა წყნარ და ატლანტიკის ოკეანეებზე. ანგარიშში ხაზგასმითაა აღნიშნული შეიარაღების საყოველთაო მოდერნიზაციის თაობაზეც. წყალში ჩაუშვეს ბირთვულძრავიანი წყალქვეშა ნავი, აღჭურვილი ბალისტიკური რაკეტებით. გამოცდას გადის ავიამზიდის საწინააღმდეგო ბალისტიკური რაკეტა, რომელსაც თავისუფლად შეუძლია ზიანი მიაყენოს წყნარი ოკეანის დასავლეთში მცურავ ამერიკულ ავიამზიდებს. ამერიკელ ექსპერტთა მიხედვით ეს რაკეტა ბოლოს მოუღებს ამერიკელთა ბატონობას ოკეანეებში, ვითარდება კოსმოსური შეიარაღებაც. ჩინეთის არმიაში შექმნილია საინფორმაციო ომის მწარმოებელი ქვედანაყოფი. მისი ამოცანაა ისეთი ვირუსის შექმნა, რომელიც დააზიანებს მოწინააღმდეგე არმიის კომპიუტერულ სისტემას. პეკინის უპირველესი ამოცანა ტაივანის შეერთებაა. მიზნის მისაღწევად მას სურს ისეთი პირობების შექმნა, რომელიც ნულზე დაიყვანს ტაივანისადმი აშშ-ს სამხედრო მხარდაჭერას.

**ჩინეთის ამბიციური გეგმები შეშფოთებას იწვევს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიელ მეზობლებში. ისინი გადასული არიან იარაღის შეძენაზე და ცდილობენ მიაღწიონ აშშ-ს მხარდაჭერას კრიზისული გარემოებების შექმნისას.** სტოკჰოლმის საერთაშორისო ინსტიტუტის მიხედვით, რეგიონის ქვეყნების მიერ იარაღის შეძენამ 2005 წელთან შედარებით გაორმაგებული სახე მიიღო. მაგალითად, ვიეტნამი აპირებს რუსეთიდან 24 მილიარდ დოლარად ექვსი წყალქვეშა ნავისა და 12 გამანადგურებელ-ბომბდამშენ სუ-30-ის შეძენას. მალაიზიამ საფრანგეთს 1 მილიარდი დოლარი გადაუხადა ორ დიზელსაწვავიან წყალქვეშა ნავში. ავსტრალიამ გადაწყვიტა 9 წყალქვეშა ნავის აშენება-შეძენა, გარდა ამისა, მზადაა შეიძინოს 100 ამერიკული საბრძოლო თვითმფრინავი ფ-35.

სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების წუხილი ჩინეთთან მიმართებაში კარგად გამოჩნდა ჰანოიში გამართული კონფერენციის დროს. კონფერენციის მსვლელობისას აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა კლინტონმა უკუაგდო ჩინეთის პრეტენზია სამხრეთ-ჩინეთის ზღვაზე. 11 ქვეყანამ მხარი დაუჭირა კლინტონს. ვიეტნამის მონაცემებით, გასულ წელს ჩინეთის საზღვაო ფლოტმა ვიეტნამის 22 თევზსაჭერი გემი დააკავა, მიმდინარე წელს კი ინდონეზიის. სულ ახლახან მკვეთრად დაიძაბა ურთიერთობა ვიეტნამ-ჩინეთს შორის, სადავო პარასელის კუნძულებთან დაკავშირებით. ვიეტნამი კუნძულებს თავისად მიიჩნევს, ჩინეთი – თავისად. ჩინეთის გემებმა დაიწყეს კუნძულებთან ზღვის გეოფიზიკური შესწავლა, როგორც ამბობენ ზღვის ფსკერი შეიცავს ნავთობისა და გაზის საბადოებს. ვიეტნამმა მკაცრი განცხადება გააკეთა ჩინეთის მისამართით, გარდა ამისა აშშ-ს და ინდოეთს სთხოვა დახმარება. **უკვე ჩვეულებრივად იქცა ვიეტნამელ და ამერიკელ სამხედროთა ურთიერთობა. სულ ახლახან ამერიკულმა ავიამზიდმა „ჯორჯ ვაშინგტონმა“ ღუზა ჩაუშვა ვიეტნამის ნავსადგურში. მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს მომძლავრებული ჩინეთის პრეტენზიები, რაც დღითი დღე გაიზრდება ეკონომიკური ტემპის ზრდასთან ერთად. ამერიკელ ექსპერტთა აზრით, 15 წლის შემდეგ ჩინეთი აშშ-ს მსოფლიო ეკონომიკის ლიდერობაში შეეცილება და არა მარტო ეკონომიკაში. ასე რომ, ზოგიერთ ბედოვლათთა მოსაზრების საწინააღმდეგოდ, ჩინეთი ის კრავი არ არის, როგორადაც ტელეკომპანია „კავკასია“ და მისი მეპატრონე აქუბარდია მიიჩნევენ. ერთ-ერთი დიალოგის დროს მან დამსწრე ორ პოლიტოლოგთან ერთად ინატრა ოთხი მილიონი ჩინელი საქართველოში. და რისთვის იცით? რათა „რუსეთს ამოვარტყათ ცხვირში“. რატომღაც მას და მისთანებს ჰგონიათ, რომ შემოსული ჩინელები ქართველთა სამარადისო მსახურნი იქნებიან. ასე გვეგონა სხვებთან მიმართებაშიც, მაგრამ არ გაგვიმართლა.**

ჰამლეტ ჭიპაშვილი,
პოლიტოლოგი.

ალიან-ჩალიანი



## სომხეთი და აზერბაიჯანი კვლავ ომის პირისპირ დადგნენ

**სომხეთის** შეიარაღებული ძალების ჯგუფმა ტერტერის რაიონის სოფელ ჩაილის მიდამოებში აზერბაიჯანის შეიარაღებული ძალების პოზიციებზე თავდასხმა სცადა. ინფორმაციას ამის შესახებ აზერბაიჯანის თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახური ავრცელებს.

აზერბაიჯანელი ჯარისკაცების მიერ თავდასხმის ჯეროვანი მოგერიების შედეგად სომხურმა მხარემ სამი ჯარისკაცი დაკარგა. კიდევ რამდენიმე სამხედრო დაიჭრა. აღნიშნული ინციდენტის შესახებ დაიღუპა სამი აზერბაიჯანელი სამხედრო.

შეგახსენებთ, რომ აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის უთანხმოება მთიანი ყარაბაღის ირგვლივ 1988 წელს დაიწყო. მთიან ყარაბაღსა და მისი კუთვნილი რაიონების 20 პროცენტზე კონტროლს ამჟამად სომხური მხარე ახორციელებს.

ჯი-ეიჩ-ენი

**აფხაზეთის ტრაგედიაზე უკვე ბევრი დაიწერა და, რა თქმა უნდა, კვლავაც დაიწერება – ეს ხომ ჩვენი დიდი და უკურნებელი ტკივილია.**

**საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა აკადემია „ქალდეის“ ეგიდით გამომცემლობა „ზენარმა“ დასტამბა ზურაბ ქუხილავას პატარა წიგნი „უკვდავება. აფხაზეთის ტრაგიკული ფურცლებიდან“.**

# ფურცელთა დაღადი




რამდენიმე სიტყვა ავტორის შესახებ.

თადარიგის გენერალ-მაიორის სამხედრო წოდების მქონე 69 წლის ზურაბ ქუხილავა 25 წელზე მეტი ხნის განმავლობაში მუშაობდა საბჭოთა აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებში სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე. მაღალი პროფესიულობითა და ურთულესი ოპერატიული ღონისძიებების წარმატებით გატარებით გამორჩეულმა მუშაკმა თავის დროზე არაერთი სამთავრობო ჯილდო დაიმსახურა.

აფხაზეთის ცნობილი მოვლენების დროს, უგუნურობით გაჩაღებულ ძმათამკვლელ ომში, ის სოხუმის დაცემის დღემდე მშობლიურ მხარეში იმყოფებოდა და ბოლომდე პირნათლად ასრულებდა სამსახურებრივ მოვალეობას... საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად ბატონმა ზურაბმა მაშინ ბევრი დაჭრილის გამოყვანა შეძლო ზღვით.

ავტორის ნაკალმევი კიდევ ერთხელ აცოცხლებს მკითხველის თვალწინ აფხაზეთის ძირძველ ქართულ მიწაზე ვაჟკაცურად დაღუპულთა სახეებს: **ჟიული შარტავასი,** რომელმაც უჭკნობი, პირდაპირ საისტორიო განცხადებები გააკეთა – „სანამ პირში სული მიდგას, სოხუმს ვერ დავტოვებ, რადგან ის მძიმე განსაცდელის ჟამს ჩამაბარა ქართველმა ხალხმა“; ხოლო დახვრეტამდე წუთებით ადრე კი რუსულად – „აქ აუცილებლად იცხოვრებენ ერთად ქართველები და აფხაზები!“ სოხუმის ყოფილი თავკაცის **გურამ გაბისკირიასი,** ვისაც აფხაზმა სეპარატისტებმა დახვრეტის წინ შესთავაზეს: მთელი მსოფლიოს გასაგონად აღიარე ამ მიწის აფხაზურობა და სიცოცხლეს გაჩუქებთო; „მაგას ვერ ეღირსებითო“, მიიღეს პასუხად...

კიდევ რამდენი გმირის გამოყვანა შეიძლება ზურაბ ქუხილავას წიგნის ფურცლებიდან. უმძიმესი 1992 წელი იდგა, კოდორის ხიდს თავგანწირვით იცავდა და დევნილებს ზურგს უმაგრებდა ჯამბულ წურწუმია თავის მებრძოლებთან – ჯამბულ ახობაძესთან, ვახტანგ ღვინჯილიასთან, თამაზ ხუნწარიასთან, მამაშვილ აზრეთ და ზაქრო გიგანებთან ერთად. ყველანი დაეცნენ ბრძოლის ველზე და მერე ამ ველიდან გადმოსვენებულ მეთაურს უბის წიგნაკში ასეთი სტროფი უპოვეს:

**ვინ დააჩოქებს კოდორის ბოკვრებს,**
**მამა-პაპათგან ბრძოლებში ნაჩვევთ.**
**საქართველოსთვის იქნება**
**მოვკვდეთ**
**და მარად მაინც ცოცხლები**
**დავრჩეთ!**

დარჩნენ კიდევაც და სხვათა შორის, ამ მოკრძალებული ნაშრომის წყალობითაც...

საგანგებო აღნიშვნას იმსახურებდა საქართველოს ერთიანობას შეწირული აფხაზი რაინდი, საბჭოური აფხაზეთის მთავრობის წევრი (ადგილობრივი მრეწველობის მინისტრიძ რაულ ეშბა. ასეც არის – „უკვდავებაში“ ცალკე განაკვეთად შევიდა ერთიანი საქართველოსთვის ომის მონაწილის, სამხედრო ძალების ვეტერანის ღუდა აბსანძის მოგონება, სადაც ამ ყოვლად ღირსეული აფხაზის მშვენიერი პორტრეტია დახატული.

დიდგვაროვან აფხაზთათვის ჩვეული შესანიშნავი გარეგნობით, ზრდილობით, თავმდაბლობით, კაცთმოყვარეობით, ინტერნაციონალური სულისკვეთებით, იუმორის არაჩვეულებრივი გრძნობით, საუცხოო თამადობით გამორჩეული სოხუმის ერთ-ერთი ყველაზე კოლორიტული პიროვნება, დიდებული სამეგობრო წრის (ჯუმბერ კვინიკაძე, ლორიკ მარშანია, ზურაბ სოტკილავა, იური გრამატიკოპულო, ვიქტორ სანეევი, ვახტანგ არშბა,თენგიზ ანთელავა და სხვანი და სხვანი) მართლაც რომ ინტერნაციონალური წრის სული და გული... „ვინ მისცა ამ საეჭვო აფხაზური წარმოშობის სეპარატისტებს აფხაზი ერის სახელით ლაპარაკის ნება. აფხაზეთი ისტორიულად საქართველოს განუყოფელი ნაწილია, ისე როგორც დანარჩენი კუთხეები. აფხაზებსა და ქართველებს უფალმა გვარგუნა ერთ მიწაზე ძმურად ცხოვრება, ვინაიდან ის ორივეთათვის მშობლიურია... თქვენ, ქართველები მომავალ თაობათა წინაშე მხოლოდ ქართველისგან დაშვებულ შეცდომებზე აგებს პასუხს, მე კი, თქვენგან განსხვავებით, ერთნაირად ვაგებ პასუხს აფხაზთა და ქართველთა შეცდომებზე, რადგან ორივე ხალხი ერთნაირად მიყვარს და ორივეს ვეკუთვნი“, – ასეთი იყო სულგანათლებული კაცის კრედო თუ ზნეობრივი პოზიცია. რაულ ეშბა სეპარატისტებმა სამშობლოს (?ძ მტრად გამოაცხადეს და სოხუმის ერთ-ერთ მოედანზე დახვრიტეს აფხაზეთის მთავრობის სხვა წევრებსა და დაცვის ბიჭებთან ერთად. აქ, თბილისში დიახაც გვმართებს მისი სახელის პატივცება – მემორიალზე ამოტვიფრითა თუ ერთ-ერთი ქუჩის ნათლობით.

... აფხაზეთის ომის კიდევ არაერთი გმირის სახელს, პორტრეტს, საგმირო საქმეებს შეხვდება და გაეცნობა მკითხველი ზურაბ ქუხილავას პატარა წიგნში, არაერთ ახალ ფაქტს, დეტალს, ამბავს შეიტყობს აფხაზეთის ტრაგიკული ფურცლებიდან და „უკვდავებას“ ავტორისადმი მადლიერების გრძნობით დახურავს...

**თამაზ ებანოიძე**

გამოვიდა

# XX საუკუნის გერმანელი მოაზროვნეები ღვთის არსებობის შესახებ

**გამოვიდა** ცნობილი ქართველი თეოლოგის **ვიქტორ რცხილაძის** შრომათა კრებული – **„XX საუკუნის გერმანელი მოაზროვნეები ღვთის არსებობის შესახებ“.** ვიქტორ რცხილაძეს ქართველი მკითხველის წინაშე წარდგენა არ სჭირდება, რადგან მის თარგმანებს გერმანულიდან – „რელიგია და გამოცხადება“, „გერმანელი მისტიკოსები“, ჰანს ზედლმაიერის – „თანამედროვე ხელოვნების რევოლუცია“, „სულთა გამოცხადება და სპირიტიზმი მართლმადიდებლური რწმენის სამსჯავროზე“ და აგრეთვე ვრცელი ნაწარმოები – „ქართველები გერმანული დროშის ქვეშ მეორე მსოფლიო ომში“ და სხვ.




ახლა კი მკითხველის წინაშე წარსდგა საკმაოდ ვრცელ ნაშრომთა აღნიშნული კრებულით. როგორც ავტორი წერს – ამ წიგნის მიზანია დახმარება გაუწიოს გონიერ მკითხველ-საზოგადოებას იმაში რომ, საქართველო ჩართულია (უფრო სწორად ჩათრეულიაძ ქრისტიანული მსოფლიოს სულიერ კრიზისში. განსხვავებით ლენინის ბარბაროსული ათეიზმისგან, ქრისტიანული დასავლეთი მოიცვა ყოფითმა ათეიზმმა. ადამიანს დაუპირისპირდა რაღაც უცნობი და თუ ეს უცნობი განიცდება როგორც არარა, მაშინ იგი პარადოქსული გზით იქცევა გამომწვევ ძალად, რომელსაც შეიძლება მოეძებნოს სხვა სახელები – ქაოსი ან ბოროტება. არ არის შემთხვევითი ისიც რომ ლიტერატურის ისტორიკოსმა ვილჰემ გრეცმანმა „კრიზისული ლიტერატურის“ წარმომადგენლად მიიჩნია თომას მანი, გოტფრიდ ბენი, ჰერმან ჰესე, ფრანც კაფკა, ერნესტ იუნგერი და სხვა.

მუსიკალურ სამყაროშიც ასეთივე მდგომარეობაა. ბახის და ჰენდელის სამშობლოში, შეიჭრა წარმართული სული და შეიქმნა კარლ ორფის პოპულარული კანტანტა, რომელიც საქართველოშიც შესრულდა.

რაც შეეხება საქართველოს, მას ვერ გააკვირვებ წარმართული სულით. ავიღოთ, თუნდაც ვანის ქვაბის ეკლესიის კედლებზე XV საუკუნეში ქართველ მონაზონთა მიერ წარწერილი სატრფიალო-სამიჯნურო ლექსი და სხვ.

კრებულში განხილულია ისეთი გერმანელი მოაზროვნე თეისტების მეცნიერული მემკვიდრეობა როგორიც იყო – რუდოლფ ოტტო, ფრანც ბრენტანო, ედით შტაინ, კარლ იასპერსი, კარლ რანერი, ჰანს ურს ფონ ბალთაზარი, რომანო გუერდინი და სხვ.

**ბონდო არველაძე**

თანამედროვე ზღაპარი

# მელია და თავქეიფა

**ჩემო პატარებო! ყველა ქართული ზღაპარი ასე იწყება: იყო და არა იყო რა. ჩვენც ასე დავიწყოთ.**

იყო და არა იყო რა. ღვთის უკეთესი რა იქნებოდა. იყო ერთი მელია.

ჩვენ მელიას, ზღაპრებში რომ ყვებიან, იმაზე გრძელი და ფაფუკი კუდი ჰქონდა. როგორც ლამაზ ქალზე ამბობენ-ხოლმე, ერთ ქალად მარტო მისი ფერ-ხორცი ან ფეხები ღირსო, ჩვენი მელიის კუდიც ერთ მელიად ღირდა. მაღალი ფეხები სხვადასხვა ფერის ბეწვით ჰქონდა შემოსილი, თვალები კი ეშმაკურად უციმციმებდა. პატარაობიდანვე ისეთი ლამაზი იყო, ავ თვალს არ დაენახვებოდა. როცა წამოიზარდა, მის შემხედვარე ვაჟკაც მელიებს ელეთ-მელეთი მოსდიოდათ.

მელიას ქათმები არ აკლდა. ბავშვობიდან პრანჭია ვინმე იყო – წერა-კითხვა დიდად არ ეპიტნავებოდა, სამაგიეროდ, კუდს წამდაუწუმ ივარცხნიდა, სუნამოს ისხამდა, მალლა შეათამაშებდა და დავაჟკაცებულ თანატოლებს თავბრუს ახვევდა. საქათმეში რომ შეიპარებოდა, მისი კუდის სურნელით დაბრუებული მამლები გონებას კარგავდნენ, საქათმიდან სულ დარჩეული დედლები გამოყავდა და სოროში მიაცუნცულებდა.

ერთხელაც, იმ მხარეში, სადაც ჩვენი მელია ცხოვრობდა, ხმა გავარდა: საშინელი დაავადება – ქათმის გრიპი ვრცელდება და ყოველ სულდგმულს მუსრს ავლებსო. შეშინებულმა ხალხმა ქათმები ერთ დღეში გაწყვიტა. ინდაურები, ბატები და იხვები ზედ მიაყოლეს. ქათმის გემო მელიას კი არა, ხალხსაც დაავიწყდა. დიდ, მსუქან დედალს ვინღა ჩიოდა, პატარა, გაჩხინკული ვარიაც სანატრელი გახდა.

მელიამ და მისმა მშობლებმა გადაწყვიტეს მშობლიური კუთხე მიეტოვებინათ და ბედი ცხრა მთას იქით ეცადათ.

ასეც მოიქცნენ.

თავდაპირველად ძალიან გაუჭირდათ. იმ მხარეში ქათმებს კარგად შემოღობილ, ქვით აშენებულ ფერმებში ზრდიდნენ და ამრავლებდნენ, იქ შეპარვაზე ფიქრიც ზედმეტი იყო. ჩვენმა მელიკომ იფიქრა, იფიქრა და თავში დიდებული აზრი მოუვიდა – ქათმის ხორცის ხინკლის გაკეთება დაიწყო. საქმე ისე კარგად აეწყო, რომ მთელს მხარეში დიდიან-პატარიანად მისი ხინკლის ჭამას შეუდგნენ.

ოჯახმა სული მოითქვა. ქათმებს უკვე ყველაზე ცნობილი სუპერმარკეტებში ყიდულობდნენ და ფულიც ჩეჩქივით შემოდიოდათ. იმდენი ფული იშოვეს, რომ ადგილობრივი მელიები დაიქირავეს სამუშაოდ, თვითონ კი ბარ-რესტორნებში ატარებდნენ დროს. იქაური წესისა და რიგის მიხედვით, ჩვენი მელია სულ კუდაბზეკილი, თითქმის ტიტლიკანა ცეკვავდა და მთელ საღამოებს ტაშ-ფანდურში ატარებდა.

კარგა ხანმა გაიარა ასე და ჩვენს მელიას მშობლიური მხარე აღარც ახსოვდა. მოკლედ, რომ იტყვიან, ქერის ორმოში ჩავარდა, თუმცა, წინ უკეთესი ქერის ორმო ელოდა.

სად იყო და სად არა, იმ მხარეს ჩვენი მელიის მშობელი კუთხიდან ყველაზე დიდი კაცი ესტუმრა. ამ კაცს სახელად თავქეიფა ერქვა. დატრიალდნენ ჩვენი მელია და მისი ოჯახის წევრები, იქნებ ამ თავქეიფას რაიმე სახეირო დავცინცლოთო და ბარ-რესტორანში არნახული შეხვედრა მოუწყვეს. სტუმარს თურმე ხინკალი უყვარდა ძალიან და ჩვენმა მელიამაც თავისი მომზადებული ხინკალი მიართვა, სულ ტიტლიკანა მელიკოების მონაწილეობით საუცხოო კონცერტიც გაუმართა. მერე თავქეიფას თავისი ფაფუკი კუდი ყელზე ნაზად შემოახვია.

თავქეიფას, თუმცა ასეთ ამბებს მიჩვეული იყო, გული მაინც აუჩუყდა და უმალ ერთი აზრიც მოუვიდა: ეს ისეთ გემრიელ ხინკალს აკეთებს, თანაც ისეთი ტაშ-ფანდურიც ცოდნია, დიდ ადგილზე უნდა დავნიშნო, რა მოხდა, ამნაირები დამინიშნავსო?

თქმა და შესრულება ერთი იყო.

ჩვენი მელიას მშობლიურ მხარეში ამ დროს უკვე საკმაოდ მომრავლებული საქათმეები კი არა, იმ კუთხის მთელი ქონება ჩააბარეს – აჰა, ღმერთმა ჭკუით მოგახმაროს, გაყიდე რამდენიც გინდა, შენც იცხოვრე და ჩვენც გვაცხოვრეო. კი ჩააბარეს მთელი ქონება, მაგრამ ჩვენმა მელიამ საქათმეში შეპარვის, ხინკლის კეთებისა და ბარ-რესტორნებში კუდაბზეკილი ხტუნვის მეტი ხომ არაფერი იცოდა? საწყალმა კუდი კი ჩამოუშვა, კაბაც ცოტა დაიგრძელა, სერიოზული ვარცხნილობაც გაიკეთა, მაგრამ უცოდინარობისა და გამოუცდელობის გამო საქმეს თავი მაინც ვერ გაართვა.

მაინც მუშაობდა ერთხანს, მსუქან ჯამაგირსაც იღებდა, მაგრამ ვერ მიხვდა, რომ არ იყო მისი საქმე ის, რისი გაკეთებაც დაავალეს.

ამასაც ხომ ჭკუა უნდოდა.

ამასობაში თავქეიფა უფროსმა ჩამოუქროლა მის მიერ თბილ-თბილ თანამდებობებზე დანიშნულ მელიებს: გეყოთ ბაირამობა, ახლა სხვების ჯერიაო და ჩვენი მელიაც, სხვებთან ერთად, გამოაპანღურა, თუმცა როგორც სჩვეოდა, მთლად არ გაწირა და საქათმეების უფროსის თბილი ადგილი აჩუქა, თვითონ კი ახალი მელიების ძებნას შეუდგა...

ჩემო პატარებო! არ ვიცი მოგეწონათ თუ არა ჩემი ზღაპარი, მაგრამ მინდა გკითხოთ: რა მოუვა იმ კუთხეს და რა დღეში ჩავარდება ხალხი თავქეიფა და მელიასნაირი უფროსების ხელში?

დარწმუნებული ვარ მიპასუხებთ: ეს ამბავი ხომ ზღაპარში მოხდაო.

მართალი ბრძანდებით! ასეთი რამ შეიძლება მხოლოდ ზღაპარში მოხდეს.

**ანდრო ჟღენტი**

**შვილიშვილის სარჩელი**

# იური მუხინი

# ასამართლებენ სტალინს

და აი გამოვიდა სტალინი და გამოთქვა თავისი ნება, როგორც რეზნიკი სასამართლოს არწმუნებს, უტყუარი. მან შემოიტანა წინადადება, გარიცხონ ბუხარინი და რიკოვი სკპ (ბძ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატობიდან და სკპ (ბძ წევრობიდან, სასამართლოს არ გადასცენ და გაასახლონ. მაგრამ რა მოხდა — რამდენმა კაცმა დაიწყო სტალინის წინადადებისთვის ხმის მიცემა? ყველამ მისცა ხმა, როგორც რეზნიკი გვატყობინებს? არა, მხოლოდ ულიანოვმა, კრუპსკაიამ, ვარეიკისმა, მოლოტოვმა და ვოროშილოვმა. სამაგიეროდ მანუილსკის, შვერნიკს, კოსარევს და იაკირს ფეხებზე ეკიდათ სტალინის ნება და სასამართლოზე დაჟინებით მოითხოვდნენ დახვრეტას. თავის მხრივ პოსტიშევმა, შკირიატოვმა, ანტიპოვმა, ხრუშჩოვმა, ნიკოლაევამ, კოსიორმა, პეტროვსკიმ და ლიტვინოვმა ასევე ფეხებზე დაიკიდეს სტალინის ნება და ხმა მისცეს საქმის სასამართლოსთვის გადაცემას, თუმცა დახვრეტის გარეშე. შედეგად სტალინის წინადადება არ გავიდა, არამედ გავიდა წინადადება — ბუხარინისა და რიკოვის საქმე გადაეცეს შინსახკომს.

„სტალინის ნების“ ზუსტად შემსრულებელი ცბიერი ვარეიკისი დაიხვრიტა, ისევე, როგორც მტკიცე, ბუხარინისა და რიკოვის დახვრეტის მოსურნე კოსიორი და იაკირი, მაგრამ სტალინის ნების ფეხებზე დამკიდებელი ხრუშჩოვი თითქმის უმალვე გახდა უკრაინაში ერთდროულად პარტიული და სახელმწიფო ხელისუფლების ხელმძღვანელი. სტალინის ნების ფეხებზე დამკიდებლები (სხვებიძ გახდნენ: ბუდიონი — მარშალი, შვერნიკი — 1946 წელს სსრ კავშირის პირველი პირი — უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, შკირიატოვი — პარტიული კონტროლის ხელმძღვანელი, მანუილსკი — აგრძელებდა კომინტერნის ხელმძღვანელობას, ნიკოლაევა — საკავშირო პროფსაბჭოსას.

ხომ ჩანს, რომ გროშადაც არ უნდა შეფასდეს ის ცნობები, რომლებიც მოგვაწოდა ადვოკატმა რეზნიკმა?

მოპასუხეები, სასამართლოსთვის დადასტურების სახით სსრ კავშირსა და გერმანიას შორის ხელშეკრულების ტექსტის, სხვა რომელიმე დოკუმენტის წარმოუდგენლად, აგრძელებენ ზეპირად დაარწმუნონ სასამართლო, რომ სტალინმა და ჰიტლერმა ერთად მოილაპარაკეს, გაენადგურებინათ პოლონეთი.

აი გერმანიის სახმელეთო ჯარების გენერალური შტაბის უფროსის გალდერის დღიურის ამონაწერი (თან ერთვისძ: „*პოლონელები გვთავაზობენ დავიწყოთ მოლაპარაკება. ჩვენ ამაზე თანახმა ვართ შემდეგი პირობით: პოლონეთმა უნდა გაწყვიტოს კავშირი ინგლისთან და საფრანგეთთან; პოლონეთის დარჩენილი ნაწილი შენარჩუნებული იქნეს; რაიონებში ნარევიდან ვარშავამდე — პოლონეთს; სამრეწველო რაიონი — ჩვენ; ბასკიდების ჩრდილოეთის განაპირა მხარე — ჩვენ; კრაკოვი — პოლონეთს, უკრაინის ოლქებში (დასავლეთიძ — დამოუკიდებელი*“. მაშ, რაღად ღირს მოპასუხეების მტკიცებანი, თუ გერმანელებიც კი 7 სექტემბრისთვის — ომის დაწყებიდან შვიდი დღის შემდეგ — არ ვარაუდობდნენ პოლონეთის ლიკვიდაციას, თუმცა თავიანთი ჯარებით უკვე დაიკავეს კრაკოვი, მაგრამ აპირებდნენ მის პოლონეთისთვის დაბრუნებას!

აი კრებული „სსრ კავშირი — გერმანია. 1939-194?1“ ანტისაბჭოთა გამომცემლობა „ტელექსი“, 1983 წ. (თან ერთვისძ. მასში მოთხრობილია ჰიტლერის შესახებ მოლოტოვთან 1940 წლის 13 ნოემბრის მოლაპარაკების შესახებ — იმ დროს, როდესაც გავიდა უკვე ერთ წელზე მეტი, როცა პოლონეთი აღარ იყო — ეს იყო გერმანიის გენერალ-საგუბერნატორო. 113-ე გვერდზე მოლოტოვი ჰიტლერს აძლევს შენიშვნას ევროპის რუკის სამხედრო ძალით შეცვლასთან დაკავშირებით, რაზეც ჰიტლერმა უპასუხა: „*იარაღის ძალით ეგრეთ წოდებული შეცვლა საერთოდ არ ყოფილა შეთანხმების საგანი*“. ესე იგი ჰიტლერმა არ იცოდა ის, რაც დღეს იციან მოპასუხეებმა ადვოკატ რეზნიკის წინამძღოლობით, — რომ ჰიტლერმა თურმე სსრ კავშირთან დადო არა ხელშეკრულება თავდაუსხმელობის შესახებ, არამედ ხელშეკრულება ერთობლივი მოქმედების შესახებ „იარაღის ძალით“. და საბჭოთა სახელმწიფოს მეთაურმა მოლოტოვმა თურმე არ იცოდა, რომ სსრ კავშირმა და გერმანიამ გაიყვეს პოლონეთი. ვინაიდან 125-ე გვერზე ის მოითხოვს ჰიტლერისგან — დაიწყონ მოლაპარაკება პოლონეთის სუვერენიტეტის შესახებ: „*საბჭოთა მთავრობას სურდა აგრეთვე სცოდნოდა — როგორია ღერძის სახელმწიფოთა განზრახვა იუგოსლავიასთან და საბერძნეთთან დაკავშირებით, აგრეთვე — რა განზრახვა აქვს გერმანიას პოლონეთთან დაკავშირებით. როდესაც შეეხნენ პოლონეთის მომავალს, მან შეახსენა, რომ საბჭოთა კავშირსა და გერმანიის მიერ ხელმოწერილი ოქმი მოითხოვს აზრთა აუცილებელ გაცვლას*“.




დაბოლოს, გერმანიის ნოტაში სსრ კავშირისთვის ომის გამოცხადების შესახებ პირდაპირაა ჩაწერილი: „*საბჭოთა მთავრობის მიერ ოკუპაცია და ბოლშევიზაცია აღმოსავლეთ ევროპისა და ბალკანეთის, რომლებიც რეიხის მთავრობამ გადასცა საბჭოთა კავშირს მოსკოვში, გავლენის სფეროს სახით, მთლიანად ეწინააღმდეგება მოსკოვის შეთანხმებებს*“ (თან ერთვისძ. ესე იგი ცნებაში „გავლენის სფერო“ სსრ კავშირსა და გერმანიას შორის თავდაუსხმელობის შესახებ ხელშეკრულებაში მინიშნებულიც კი არ არის რომელიმე სახელმწიფოს ოკუპაციაზე. როგორ შეუძლიათ ასე იცრუონ მოპასუხეებმა ამ ხელშეკრულებაზე?

შეუძლებელია! ვინაიდან ცრუობენ პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამყიდველები. სხვაგვარად მათ არ შეუძლიათ: სსრ კავშირის გაყიდვის შემდეგ მათ შეუძლიათ იცრუონ და იცრუონ.

პატივცემულო სასამართლოვ! გთხოვთ ჰკითხოთ მოპასუხეებს, რომელ წელს შევიდნენ ისინი სკკ პარტიაში და რომელ წელს გაყიდეს იგი? თუ მიუღიათ მათ სსრ კავშირის ჯარისკაცული ფიცი, და რომელ წელს უღალატეს ამ ფიცს? გთხოვთ, დაინტერესდეთ, თუ სახელდობრ რა დამსახურებისთვის მიიღეს „მემორიალის“ წარმომადგენელმა პეტროვმა და მოპასუხე იაბლოკოვმა პოლონეთის რესპუბლიკის ჯვრების ორდენები? და დარწმუნდეთ, რომ ამ ხალხს არ შეუძლია არ იცრუოს, როდესაც საუბრობს სტალინზე ან სტალინურ სსრ კავშირზე, რადგანაც სასამართლოსთვის მიცემული მათი ჩვენებანი და განმარტებანი თავიდანვე ყალბია.

პატივცემულო სასამართლოვ! რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო-პროცესუალური კოდექსის 186-ე მუხლის თანახმად, განცხადების შემთხვევაში იმის შესახებ, რომ საქმეში არსებული დადასტურებანი არის ყალბი, სასამართლოს აქვს თავისი გადაწყვეტილების ორი ვარიანტი: მას შეუძლია დანიშნოს ექსპერტიზა სიყალბის შესახებ განცხადების შესამოწმებლად ან შესთავაზოს მხარეს წარმოადგინოს სხვა დადასტურებანი.

მიგვაჩნია, რომ ამ ორი ვარიანტიდან სასამართლომ უნდა შესთავაზოს მოპასუხეებს — დადასტურების სახით წარმოადგინონ მოპასუხეებმა არა განმარტებანი და ისევ მოპასუხეების მიერ მომზადებული დოკუმენტები, არამედ ის დოკუმენტები, რომელთა გაჩენასთან დაკავშირებითაც მოპასუხეებს არა აქვთ დამოკიდებულება.

## ხალხი და სასამართლო

სტალინის გასამართლებაზე სტატიების განხილვის დროს უშიშროების ფედერალური სამსახურის ვილაც თანამშრომელმა, ჩემი მოსაზრებით, სახელს რომ მალავდა, ასეთი ცნობა გაავრცელა.

„*1953 წლის 8 აპრილს ოდესის საოლქო სასამართლოს განაჩენით ვალენტინა ვერბიცკაიას, 1928 წელს დაბადებულს, ოდესის ოლქის დუბაშევსკის რაიონის სოფელ მალი ბობრიკის მკვიდრს, რომელიც ცხოვრობდა ქ. ოდესაში, უპარტიოს, უკრაინელს, 6 კლასის განათლებით, ქმართან განშორებულს, 2 შვილის დედას, მუშაობდა ქარხანაში „სათადარიგო ნაწილების“ მუშას, უკრაინის სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 54-ე მუხლის 10-ე ნაწილით, მიესაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში, უფლებების 3 წლის აყრით...*

*საქმის მასალებით დადგინდა, რომ 1953 წლის 4 მარტს ოდესის ქარხანა „სათადარიგო ნაწილების“ მუშა, რომელიც ვერბიცკაიასთან ერთად მუშაობდა, შეეკითხა ამ უკანასკნელს, გაიგო თუ არა, რომ ბელადი ავად გახდა.*

*ამ შეკითხვაზე ვერბიცკაიამ უპასუხა: „თუ გინდა, მოკვდეს კიდეც, ისე მშია, სიცოცხლეც არ მინდა“. ვერბიცკაიამ წინასწარი გამოძიების დროს და სასამართლო სხდომაზე აღიარა, რომ ასეთი გამონათქვამი მან მართლა დაუშვა შემდეგ გარემოებებში: 1953 წლის 3 მარტს მან იმუშავა ორი ცვლა 12 საათამდე, იყო მშიერი. 4 მარტის დილით ის კვლავ გამოვიდა სამუშაოზე მშიერი. ამასთან დაკავშირებით დაუშვა ასეთი მოუფიქრებელი გამონათქვამები*“.

ამ შემთხვევაში მინდა უგულებელვყო ის ამბავი, რომ ინფორმაციის მიღების წყარო მეტად საეჭვოა, და ამ ინფორმაციას ვღებულობ, როგორც ნამდვილს, ვინაიდან მისი ანალიზის საფუძველზე უნდა ვაჩვენო ცხოვრებისა და იმ დროის, და მომავლის სრულიად გამოუკვლევი ასპექტი.

სხვაგვარად შეუძლებელია ახსნა, ვიდრე ერთთა ბოროტი განზრახვა და სხვების უკიდურესად მოუსაზრებლობა, ის, რომ სულაც არ გვასწავლიან და არც გვასწავლიდნენ გავიგოთ ადამიანის ფსიქოლოგია, თანაც არ ასწავლიან მათ, ვინც პოტენციურად უნდა უხელმძღვანელოს სტუდენტებს. მე ხომ კარგი ინსტიტუტი დავამთავრე, თითქმის 22 წელი ვხელმძღვანელობდი ხალხს წარმოებაში, და არა თუ არასოდეს მსმენია, არც დავფიქრებულვარ იმაზე, რომ ამ ფსიქოლოგიის ცოდნა ხელმძღვანელის მუშაობაში ძალიან გამომადგებოდა.

ხალხი, რომელიც აღმოჩნდება ხოლმე ხანგრძლივი ურთიერთობის ამ მეზობლობის პირობებში, ყოველთვის ავტომატურად, ისე, რომ ამის შესახებ ეჭვიც არ ჰქონია, ქმნის სათემოებს, არ შევცდები, თუ ვიტყვი, თავდაცვის მიზნით. ამ დროს ყალიბდება ამ სათემოებში ცხოვრების გარკვეული წესებიც, მის ირგვლივ შექმნილი სამყარო ავტომატურად იყოფა „თავისიანებად“ და „უცხოებად“ მეტად სხვადასხვაგვარი დამოკიდებულებით თავისიანებთან და უცხოებთან. უბრალოდ გწყინს: ინსტიტუტში ტვინს გვიჭედავდნენ მარქსისტული ფილოსოფიის სისულელეებით, რაც ბულბულს ისე სჭირდება, როგორც მესანგრეს ნიჩაბი, და ამ „კლასობრივი ბრძოლით“ პირწმინდად გვიკლავდნენ თავად რწმენას იმის შესახებ, თუ რეალურად როგორი ურთიერთობა ყალიბდება ადამიანებს შორის საზოგადოებაში. მე თითქოს გავიზარდე იმათ შორის, რომლებიც ჰგავდნენ, მათ, ვისი ხელმძღვანელობაც მომიწია შემდგომში, მათთან ურთიერთობას კი ვამყარებდი უფრო ინსტიტუტით, ვიდრე გონებით იმ ძველი კონფლიქტების ჭეშმარიტი მიზეზების დადგენაზეც კი, რომლებშიც მიწევდა მონაწილეობის მიღება, და ამაზე, მგონი, ახლა დავიწყე დაფიქრება.

ვთქვათ, რა ძნელი იყო ინსტიტუტში გესაუბრა იმ ჭეშმარიტ ურთიერთობებზე, რომლებიც არსებობდა მემამულეებსა და გლეხებს შორის? ვისაც ოდნავ მაინც აინტერესებს რუსეთის ისტორია ან წაუკითხავს რუსული კლასიკა, ალბათ, შეხვედრია ასეთი გამოთქმა „დაისაჯა სიკეთისთვის“. მაგრამ რას ნიშნავს მათ მიერ ამ გამოთქმით აღწერილი სიტუაცია მის კლასიკურ ხედვაში? იცით, ეს სულაც არაა პლატონ კარატაევის ცხვრის ბღავილი, თუმცა ეს ბღავილიც არ ყოფილა მუდმივი. მაშ, რა უნდა გაგეკეთებინა, რომ გაეგოთ — შენ დაისაჯე სიკეთისთვის? უნდა მოგეკლა მავნე მებატონე, რომელიც სასაცილოდ იგდებდა გლეხებს, მოგეკლა მისიც ცოლი და შვილები (რომ არავის ექია შურიძ და ჩაბარებულიყავი ხელისუფლებას. ხელისუფლება გაგასახლებდა სამუდამო კატორღაში, და აი ეს იყო სიკეთისთვის წამების კლასიკური შემთხვევა. სათემოს თვალში ის არ ყოფილა არც მკვლელი, არც დამნაშავე — ის იყო წამებული.

იმან, რაც გავიგე ეკატერინე II-ის შესახებ, მაიძულა, პატივი მეცა მისთვის. მიმაჩნია, რომ მან შესანიშნავად იცოდა თავისი ქმრის დანაშაული, რომელმაც მემამულეების თავისუფლება გამოაცხადა, მაგრამ უკვე აღარაფრის გაკეთება არ შეეძლო გათავხედებული სათავადაზნაურო კლასის ძალის გამო. და მან შემოიღო, თუმცა არა კარდინალური, მაგრამ მაინც რაღაც საპირისპირო თავადების თავხედობის წინააღმდეგ — გააუქმა სიკვდილით დასჯა.

რატომ არაფერს გვეუბნებოდნენ ინსტიტუტში გლეხების ურთიერთობაზე სათემოებში, შრომის არტელებში? ეს საკითხები შესანიშნავად იყო შესწავლილი ჯერ კიდევ ორი საუკუნის წინათ. მაგალითად, რუსულ სათემოში ნებისმიერ გადაწყვეტილებას ღებულობდნენ მხოლოდ ერთსულოვნად. ეს კი როგორ შეიძლება მიწის განაწილების დროს? ნადელის ოდენობასა და ხარისხზე ხომ დამოკიდებული იყო ყოველი გლეხის შემოსავალი, ესე იგი როგორ შეიძლებოდა შეგეთანხმებინა 200-300 კაცის ინტერესები აბსოლუტურად? დავები კი მიწის გაყოფის შესახებ ხომ არ შეიძლებოდა გაგრძელებულიყო თვეობით, საჭირო იყო მოხვნა და დათესვა, მიწა კი თუ დაყოფილი არაა, მოხვნაც შეუძლებელია.

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 155-163.

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# აფხაზეთის ლიდერზე ზემოქმედება ძლიერდება

**უკვე წელიწადზე მეტია აფხაზური ოპოზიცია დე ფაქტო პრეზიდენტს სერგეი ბაღაფშს გამუდმებით იმისთვის აკრიტიკებს, რასაც რუსეთისადმი გადაჭარბებულ და დაუსაბუთებელ დათმობად მიიჩნევს**

კერძოდ კი ბაღაფშის მიერ ორ საპრეზიდენტო არჩევნებში ზედიზედ დამარცხებული რაულ ხაჯიმბა ცდილობდა, ბაღაფში აღეწერა, როგორც აფხაზეთის ეროვნული ინტერესების გამყიდველი. რუსეთის მიერ აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების ორი წლისთავზე (26 აგვისტოს), დამოუკიდებელმა ყოველკვირეულმა გამოცემამ „ნუჟნაია გაზეტამ" ზედიზედ გამოაქვეყნა ორი მასალა, რომელთაც განზრახული ჰქონდათ ბაღაფში აიძულებინათ მოსკოვს დაპირისპირებოდა.

პირველი ამ წერილთაგანი 17 აგვისტოს ფსევდონიმით გამოქვეყნდა. მასში მოყვანილი იყო შეთანხმებათა პროექტები, რომლებიც რუსეთ-აფხაზეთის კომისიის მიერ გამიზნულად მომზადდა, ამ საქმიანობაში საქართველოს მონაწილეობით. ამ შეთანხმების თანახმად რუსეთის მოქალაქეებს შეუძლიათ აფხაზეთში მათ მიერ მიტოვებული სახლები მოითხოვონ. ავტორი ამტკიცებს, რომ შეთანხმება გზას უხსნის იმ ათასობით ქართველის დაბრუნებას აფხაზეთში, რომლებიც 1992-1993 წ.წ. ომის დროს რუსეთში გაიქცნენ და მოგვიანებით რუსეთის მოქალაქეობა მიიღეს.

ნავარაუდევია, რომ საქართველო იმ შეთანხმების ხელმოწერას ლობირებს, რომელიც სწორედ ქართველებს შეაძლებინებს თავისი სახლების დაბრუნებას და საპასუხოდ საქართველო ხელს მოაწერს ოფიციალურ ხელშეკრულებას აფხაზეთთან ძალის გამოუყენებლობის შესახებ. დღემდე საქართველო აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან მტკიცედ ამბობს უარს ასეთი ხელშეკრულების ხელმოწერაზე.

24 აგვისტოს, „კავკას-პრესი" იტყობინებოდა, რომ „ნუჟნაია გაზეტამ" გამოაქვეყნა კავშირ „არუას" წევრების, 1992-1993 წ.წ. ვეტერანების ბაღაფშისადმი მიმართვა, სადაც ისინი ომში ჩადენილი დანაშაულების გამო გასასამართლებლად მოსკოვიდან ქართველი პოლიტიკოსების, კერძოდ კი ეროვნული გვარდიის მეთაურის თენგიზ კიტოვანის ექსტრადიციას ითხოვდნენ – სწორედ ის იყო პასუხისმგებელი 1995 წელს ქართული ჯარების აფხაზეთში შეჭრაზე, რამაც ომის დაწყება დააჩქარა.

„არუამ" და აფხაზეთის ეროვნული ერთიანობის ფორუმის წარმომადგენელმა ხაჯიმბამ პირველად ბაღაფშის კრიტიკის ზალპი გაუშვეს, რუსეთისადმი მისი დამთმობი პოლიტიკის გამო.

ხაჯიმბამ ასევე საკვანძო როლი შეასრულა იმ კამპანიაში, რომელმაც ისინი აიძულა, გაეუქმებინათ ჩასწორებები აფხაზურ კანონში. ეს კანონი ნებას დართავდა აფხაზეთის სამხრეთით მდებარე გალის რაიონში დაბრუნებულ ქართველებს მიეღოთ აფხაზური პასპორტები. ხაჯიმბა და სხვა ოპოზიციური პოლიტიკოსები ამ ჩასწორებებს იმით ხსნიდნენ, რომ ბაღაფშს უნდოდა, მეორე საპრეზიდენტო არჩევნებში თავისი ქართველი ამომრჩევლები გადაებირებინა.

აფხაზური საინფორმაციო სააგენტო „აფსნი პრესისთვის" 20 აგვისტოს მიცემულ ინტერვიუში პრემიერ-მინისტრი შამბა საშინლად აკრიტიკებდა „ნუჟნაია გაზეტაში" გამოქვეყნებულ სტატიას, თავს ესხმოდა და მას ცილისმწამებლური და დამაბნეველი უწოდა.



სამი დღის შემდეგ, შამბამ სოხუმში პრესკონფერენცია მოიწვია და იქ განმარტა, რომ აფხაზეთის მთავრობა უარს არ ამბობს საკუთრებაზე, რუსეთის მოქალაქეების ცალკეული საქმეების განხილვაზე და აფხაზეთის პროკურატურა და აფხაზეთის უმაღლესი სასამართლო ამ საქმეში ჩართულები არიან. მან განაგრძო და გაიხსენა, რომ ომის შემდეგ ბევრმა აფხაზმა, რომელთა სახლებიც ომის დროს დაინგრა, სპონტანურად დაიკავა გაქცეული რუსების მიტოვებული სახლები ან ბინები.

შამბა ამტკიცებდა, რომ 1992-1993 წ.წ. ომი ქართულმა ხელისუფლებამ დააჩქარა და ამიტომ ქართველებმა „ინტეგრირება იქ უნდა მოახდინონ, სადაც დღეს ცხოვრობენ – საქართველოში". ის ამტკიცებდა, რომ მასობრივად მათი დაბრუნება დაძაბულობას შექმნიდა და ახალი ომი გარდაუვალი იქნებოდა.

2003 წლის აღწერის თანახმად, აფხაზეთის მოსახლეობა 215 272-ს შეადგენს. ყველაზე დიდი ეთნიკური ჯგუფი აფხაზები იყვნენ (94,606, 44%ძ, შემდეგ ქართველები (45,956, 21.3%ძ და სომხები (44,870, 20.8%ძ. 50 000-60 000 ქართველის დაბრუნება მათ ყველაზე დიდ ეთნიკურ ჯგუფად აქცევდა, ამის თავიდან აცილება კი აფხაზებს ნებისმიერ ფასად სურთ.

ყოველდღიური რუსული გამოცემა „კომერსანტი" 25 აგვისტოს ციტირებდა უცნობ ჩინოვნიკს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროდან, რომელიც ვარაუდობდა, რომ შამბაც და „ნუჟნაია გაზეტას" ავტორიც, შესაძლოა, ფარულად აზვიადებენ იმ ქართველების რაოდენობას, რომლებიც რუსეთის ფედერაციაში რუსეთის სრულუფლებიანი მოქალაქის სტატუსით სარგებლობენ და რომელთაც შეუძლიათ ჰიპოთეტური შეთანხმების პროექტის თანახმად დაბრუნდნენ აფხაზეთში და მოითხოვონ თავისი საკუთრება.

24 აგვისტოს პრესკონფერენციაზე შამბამ ხაზგასმით განაცხადა – „ჩვენ არ გვსურს, რომ ქართველ ლტოლვილებთან დაკავშირებული საკითხების გამო ჩვენს მეგობრულ ურთიერთობებს ჩრდილი მიადგეს რუსეთის ფედერაციასთან".

შამბამ ნათელი მოჰფინა იმ ფაქტს, რომ სადავო დოკუმენტი რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროდან იყო გამოგზავნილი თავის აფხაზ კოლეგასთან, რომელმაც შემდეგ ის პრეზიდენტის ადმინისტრაციაში გააგზავნა. თუ იმას დავეთანხმებით, რომ შამბა მართალი იყო, როდესაც აცხადებდა, რომ არაფერი იცოდა დოკუმენტის შესახებ, სანამ მისადმი ყურადღება „ნუჟნაია გაზეტამ" არ მიიქცია, ლოგიკური იქნებოდა შემდეგი დასკვნის გაკეთება – დოკუმენტი „ნუჟნაია გაზეტას" ფარულად გადასცა რომელიმე მაღალჩინოსანმა ან საგარეო საქმეთა სამინისტროდან ან პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან, რათა მთავრობა აშკარად რთულ მდგომარეობაში ჩაეყენებინა.

„კომერსანტმა" 25 აგვისტოს გამოაქვეყნა იზიდა ჩანიას, „ნუჟნაია გაზეტას" მთავარი რედაქტორის სიტყვები. მისი ვარაუდით, შამბამ თავისი ინიციატივით უარყო ის ფაქტი, რომ იცნობდა დოკუმენტს, რადგან იმ შემთხვევაში, თუ ბაღაფში მოგვიანებით მოაწერდა ხელს ამ შეთანხმების ჩასწორებულ ვარიანტს, თავიდან აიცილებდა კომპრომეტაციას. მან დასძინა, რომ შამბა, რომელიც ბაღაფშის პრეზიდენტობის პირველი ვადისას საგარეო საქმეთა მინისტრი იყო, „ეროვნული ლიდერის" სტატუსით სარგებლობს და მისი ხალხს სჯერა.

თუ წარმოვიდგენთ შამბას გადადგომის ჰიპოთეტურ ვარიანტს, ის 2014 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში ხაჯიმბას მთავარი კონკურენტი გახდებოდა, მაგრამ მოცემული მომენტისთვის, ხაჯიმბა ყველაზე თვალსაჩინო პოლიტიკური ფიგურაა ოპოზიციის ბანაკში.

წელს მან უკვე სამჯერ, ერთხელ თებერვალში და ორჯერ მაისში, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის ოპოზიციას გაერთიანებისკენ მოუწოდა.

12 მაისს **FNEA** კონგრესზე გამოსვლისას, სადაც ის პარტიის თავმჯდომარედ აირჩიეს, ხაჯიმბამ სასტიკად გააკრიტიკა მთავრობა იმის გამო, რომ მან ვერ შესძლო საზოგადოების კონსოლიდირება, ვერ განახორციელა გონივრული საკადრო პოლიტიკა, ასე ძალიან საჭირო რეფორმები საეჭვო ეკონომიკური პოლიტიკის გამო.

ზუსტად ერთი კვირით ადრე, 24 ოპოზიციურმა ფიგურამ, მათ შორის ხაჯიმბამ ბაღაფშს, შამბას და პრალამენტის სპიკერს ღია წერილით მიმართეს და მოითხოვეს, რომ სახელმწიფო ტელევიზიამ და რადიომ ყოველ კვირას გადასცენ რეგულარული სადისკუსიო პროგრამები, სადაც ოპოზიციურ პოლიტიკოსებს და დამოუკიდებელ ჟურნალისტებს მოიწვევენ.

ბაღაფშმა ხაჯიმბას კრიტიკას დეტალურად უპასუხა, პირველად 25 მაისს და შემდეგ 7 ივლისს პარლამენტის წინაშე მის ყოველწლიურ გამოსვლაში. კერძოდ კი მან უარყო, რომ აფხაზეთი თავფეხიანად რუსეთს ჩაბარდა გირაოში, ის ამტკიცებდა, რომ რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის გამიზნული და რუსეთის მიერ გაცემული ფონდები, ხელმისაწვდომი 2010-2012 წლებში გახდება და ის უპირობო დახმარება იქნება. ეს არაა სესხი, რომელიც გადასახდელი გახდება. მან ასევე აღნიშნა, რომ რუსული სამხედრო ბაზები აფხაზეთში მხოლოდ სარგებელს მოუტანს რესპუბლიკას.

ამ არგუმენტებმა ოდნავადაც ვერ დაარწმუნა მისი ოპონენტები. გააძლიერებენ ისინი ზემოქმედებას მასზე და პოლიტიკურ ორთაბრძოლაში გამოიწვევენ, თუ მოსკოვი ზემოქმედების შესამსუბუქებლად კიტოვანს გადასცემს – ამის პროგნოზირება შექმნილ ვითარებაში რთულია.

# სააკაშვილმა ფრენა ისწავლა

**ორშაბათს საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი მსოფლიოს ახალი და მოულოდნელი უნარით წარუდგა. მსუბუქი ტიპის თვითმფრინავის საჭესთან მან შემოუფრინა ბათუმსა და აჭარის შავი ზღვის სანაპიროებს. იმავე დღეს ავტონომიური რესპუბლიკის დედაქალაქში გამართულ თათბირზე, რომელიც მიეძღვნა ტურიზმისა და ინფრასტრუქტურის საკითხებს, მან განკარგულება გასცა, განვითარდეს ქვეყანაში აეროპორტების ქსელი და აიგოს თანამედროვე აეროპორტები თვითმფრინავების მისაღებად მესტიაში**

თურმე, მთელი ზაფხულის განმავლობაში მიხეილ სააკაშვილი სწავლობდა მფრინავის პროფესიას. ვილაცა ამბობდა, რომ ფრენა – სააკაშვილის ბავშვობის ოცნებაა, და მას ფრთები შეასხა თავისი პრეზიდენტობის მეექვსე წელს. ტელეკომპანია „რუსთავი-2"-მა სადამო საინფორმაციო გამოშვების მნიშვნელოვანი ნაწილი დაუთმო საქართველოს სახელმწიფოს მეთაურს საჭესთან.

სააკაშვილი მტკიცედ დაჯდა მფრინავის ადგილზე, შეიკრა ღვედები და გაიკეთა საყურისები მიკროფონით. საჭესთან პრეზიდენტი თავს გრძნობდა მეტად დარწმუნებულად. ის ხან ხელს უქნევდა ვიღაცას დედამიწაზე, ხან ინგლისურ ენაზე ესაუბრებოდა დედამიწის სადისპეტჩერო სამსახურს, ხან შემობრუნდებოდა და ქართულად რაღაცას საკმაოდ დიდხანს უხსნიდა მასთან მჯდომ ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელს ლევან ვარშალომიძეს – კერძოდ, რას, ძნელი გასარჩევი იყო მოტორის ხმაურის გამო. „რუსთავი-2"-ის მეორე კამერამ, რომელიც პარალელურად მფრინავი თვითმფრინავის ბორტზე იმყოფებოდა, გადაიღო მკვეთრი მირაჟები, რასაც მიხეილ სააკაშვილი ასრულებდა შავი ზღვის თავზე. როდესაც აჭარის სანაპიროს შემოუფრინა, გადახედა ზემოდან უზარმაზარ განახლებულ ბათუმს,



რითაც, როგორც ჩანდა კმაყოფილი დარჩა, სააკაშვილი, როგორც იქნა, წავიდა დაჯდომაზე. კაბინიდან როცა გამოვიდა, ის მზრუნველად შეეკითხა ვარშალომიძეს: „რა, ლევან, მოგეწონა?" – და საქმის ცოდნით დაუმატა: „აი დიდი თვითმფრინავი რომ ყოფილიყო!" – და გაიმეორა მიმინოს სიტყვები, რომელმაც უარი განაცხადა შვეულმფრენზე ძროხის აყვანაზე: „ეს რა... პეპელაა"?"

უკვე თბილისში, რომელსაც ესწრებოდნენ მინისტრები და აჭარის მახლობელი რეგიონების გუბერნატორები, სააკაშვილმა განაცხადა, რომ მას ძალიან მოეწონა, თუ როგორ მუშაობს სადისპეტჩერო სამსახური: „აშკარად ჩანს, რომ მოვიდნენ პროფესიონალები, არა ისეთები როგორებიც ადრე იყვნენ", მან დაიჩივლა აგრეთვე ქართული ავიაკომპანიების უინიციატივობაზეც: „მე მათ ვთავაზობდი, ეფრინათ თბილისიდან ბათუმში, ქუთაისში... არ მოინდომეს – არ არის ხელსაყრელიო. შედეგად მოგვიწია თურქეთის კომპანიის შემოშვება. თურქებმა ავიაბილეთებზე ბათუმში დააწესეს იაფი საფასური, იფრინეს, ახლა კი მოუმატეს... აი ჩვენივე ბაზარი დავკარგეთ". ამას რომ ლაპარაკობდა, სააკაშვილი მიუთითებდა იმაზე, რომ ავიატორებს აღარ დაეკარგათ სხვა შესაძლებლობანი – ახლა ამოცანად დგას „განვავითაროთ ადგილობრივი აეროპორტების ქსელი". თანაც პრეზიდენტის გეგმები როდი იყო შემოფარგლული ავიაციისთვის მეტ-ნაკლებად ტრადიციული ქალაქებით ქუთაისით, ბათუმით, ფოთით, არამედ თვით მაღალმთიანი სვანეთიც მოიხსენია, სადაც ყველას როდი შეუძლია მისვლა.

„მიიჩნიეთ ეს ჩემ კაპრიზად – გულღიად განაცხადა სააკაშვილმა, – მინდა რომ მესტიაში იყოს თანამედროვე საერთაშორისო აეროპორტი, რომელსაც შეეძლება, მიიღოს თვითმფრინავები... მე თავად დიდი კმაყოფილებით დავსვამ იქ თვითმფრინავს. შევძლებთ წლის ბოლომდე?" მას აცნობეს, რომ უკვე ეწყობა ასაფრენი ზოლი. სააკაშვილმა სიხარულით გაიღიმა.

ოპოზიციონერები, როგორც წესი პრეზიდენტის გეგმებს ქირქილით გამოეხმაურნენ: „იქ წელიწადში 10 თვე არასაფრენი ამინდია. ალბათ, მესტიაში რკინიგზის ექსპრესი დაიწყებს ფრენას", – აღნიშნავენ ისინი.

მაგრამ ამ შემთხვევაში სააკაშვილის გეგმები არცთუ ისე ფანტასტიკურია, თუ მხედველობაში მივიღებთ მის ამასწინანდელ გადაწყვეტილებას მიენიჭოს ტურისტულ სფეროს სტრატეგიული მნიშვნელობა – სვანეთისა და რაჭის გამაოგნებელი სილამაზე ამ მხარეში აეროპორტის გახსნით უფრო ხელმისაწვდომი გახდება მთის პეიზაჟების მოყვარულთათვის და ცხოვრების აქაური თავისებური წესისთვისაც, ამას გარდა გაჩნდება სამუშაო ადგილებიც, რომელთა ნებისმიერი ოდენობაც უმუშევრობით გატანჯული საქართველოსთვის – ერთგვარი დახმარება იქნება.

# მედვედევს ლერწმებში ელოდებიან

**წერდნენ, რომ რუსეთის პრეზიდენტი დიმიტრი მედვედევი ასტრახანში აპირებდა დასვენებას, რომ იქ წყალქვეშ ენადირა ვოლგის დელტაში. როგორ ატარებენ შვებულებებს სხვა ლიდერები?**

**გ. ბლიაძე, ხაშური**

როდესაც რუსეთის პრეზიდენტი თავისი შვებულების გეგმას აწყობდა, მან აღნიშნა, რომ შეიძლება ხელი შეუშალოს მძიმე სიტუაციამ ხანძრებთან დაკავშირებით. მაგრამ, როგორც ვიცით, ის სოჭიდან მალე დაბრუნდა მოსკოვში. ხანძრების გამო, რომლებიც დაიწყო უკრაინის ცენტრალურ ოლქებში, შვებულება შეწყვიტა პრეზიდენტმა ვ. იანუკოვიჩმაც. ყირიმის სამხრეთ სანაპიროზე ის ისვენებდა ივლისში, ცურვასა და გარუჯვას გეგმავდა აგვისტოს შუა რიცხვებამდე. სამკვირიან შვებულებაში იყვნენ საფრანგეთის პრეზიდენტი და მთავრობაც. თუმცა შვებულებაში გასვლამდე მოუწიათ ცოტა ხნით შეჩერება, ვინაიდან პრეზიდენტის მეუღლეს კარლა ბრუნის ილებდნენ ეპიზოდში ფილმისა, რომელზეც პარიზში მუშაობდა ვუდი ალენი. საფრანგეთის სამხრეთში პრეზიდენტი სარკოზი აპირებს ისეირნოს ველოსიპედით მთის გზებზე. სამხრეთ ტიროლის (იტალიაძ მთებში სასეირნოდ გაემგზავრა თავის მეუღლესთან ერთად გერმანიის კანცლერი ა. მერკელი, რომელმაც შვებულების დროს საკითხავად თან წაიღო სამეცნიერო ნაშრომი სტალინის შესახებ.



## ჩვენი ბიბლიოთეკა

სამზარეულოში ძაღლმა დაიყეფა. ბრიდამ უკვე უწყოდა, რომ ეს პირობითი ნიშანი იყო: დრო, რომელიც გამოყოფილი ჰქონდა, მიიწურა და წასვლა ჯობდა წარმავალისა.

– ჯერ ხომ წესიერად არც დაგვილაპარაკია! – ხვეწნაგარეული ხმით თქვა ბრიდამ. – სულ ცოტა, ორი რამ მაინც უნდა მეკითხა.

მაგრამ უიკა უკვე  აზეზდა. მან ერთხელ კიდევ შეამჩნია თავის სტუმარს უცნაური რამ ჩვევა – რაც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო, იმაზე ის უკვე კარებში ლაპარაკობდა ხოლმე.

– მითხარი ერთი, მართლა არსებობდნენ თუ არა ის მღვდლები, რომლებიც ვნახე.

– ხანისად უჩვეულო რამ წუთებს განვიცდით, ხოლო მერე, ორი საათიც არ არის ხოლმე გასული, ჩვენვე ვცდილობთ ჩვენივე თავის დარწმუნებას, რომ ეს ყოველივე ჩვენივე წარმოსახვის ნაყოფი იყო, – მიუგო უიკამ და წიგნის თაროსთან მივიდა!

ბრიდას წამოაგონდა, სულ ახლახან, ტყეში, როგორ ფიქრობდა ვიღაც-ვიღაცებზე, ვისაც შიშსა ჰგვრის ყველაფერი, რაც იდუმალი და უჩვეულოა. და შერცხვა.

უკან მობრუნებულ უიკას ხელში წიგნი ეჭირა.

– კათარნი, ანუ სრულყოფილნი, იმ ეკლესიის მიმდევარნი იყვნენ, საფრანგეთის სამხრეთით XII საუკუნეში რომ არსებობდა.იმათ სულთა გადასახლება თუ გადაბინავება სწამდათ, სწამდათ, რომ კეთილნი  და ბოროტნი აბსოლუტურნი არიან. რომ მსოფლიო გაყოფილია ორ ნაწილად. ერთ ნაწილს  რჩეულნი შეადგენენ, ხოლო მეორეს მარადიული წყევლა-კრულვისთვის განწირულნი. ამიტომაც არის, რომ არა ღირს ვისიმე მოსაქცევად სწრაფვა.

სოფლის სიამეთა მიმართ კათართა დამოკიდებულება ჭკუაში დაუჯდათ ლანგედოკელ ბარონთ, რომელნიც მალე არა მარტო იმათი მომხრენი გახდნენ, არამედ ერთიმეორის მიყოლებით იმათ სარწმუნოებაზეც მოიქცნენ, რამეთუ ეს ფეოდალთ ათავისუფლებდა იმხანად დადგენილი საეკლესიო ათისთავის გადახდის აუცილებლობისგან. ხოლო ვინაიდან კათარნი ჰგონებდნენ,  კეთილი იქნება თუ ბოროტი, ადამიანის ჯერეთ კიდევ დაბადებამდეა განგებისგან განსაზღვრულიო, ჩადენილი ცოდვის მიმართ ისინი ფრიად შემწყნარებელნი იყვნენ. ამ მხრივ მეტადრე მცოდველ დიაცთ სწყალობდნენ. ყოფაქცევის უმკაცრესი წესების შესრულება მხოლოდ იმათ ევალებოდათ, ვინც მღვდლის ხარისხს იღებდა.

ყველას ყველაფერი მანამ აძლევდა ხელს, სანამ კათართა მოძღვრება ფართოდ არ გავრცელდა და მრავალ ქალაქს არ მოედო. კათოლიკურმა ეკლესიამ საშიშროება იყნოსა და მწვალებელთა წინააღმდეგ ჯვაროსნული ლაშქრობის წამოსაწყებად დასცა განგაში. კათარნი და კათოლიკენი ოთხი საუკუნე ებრძოდნენ ერთმანეთს, მთელი ოთხასი წელიწადი სისხლსა ღვრიდნენ, მაგრამ საბოლოო ანგარიშით პაპის მიმდევართ უცხო მხედრობათა შეწევნით მიწასთან გაასწორეს სუყველა ახალ რელიგიას ზიარებული ქალაქი. გადარჩა ერთი მხოლოდ ციხესიმაგრე მონსეგიური პირენეებში, რომლის მეციხოვნეთაც მანამ შეძლეს თავდაცვა, სანამ მეალყეთ საიდუმლო  ბილიკს არ მიაგნეს – ყოველგვარი მარაგი იმ ბილიკით შეჰქონდათ ქალაქში. 1244 წლის მარტის ერთ დილას, ციხესიმაგრის დაცემის შემდეგ, 220 კათარი ფსალმუნთა და ჰიმნთა სიმღერა-გალობით იმ მთის ძირას გაჩაღებულ უზარმაზარ კოცონზე ავიდა, რომელ მთაზეც  მონსეგიური იყო აღმართული.

უიკამ ეს ყველაფერი რომ წარმოთქვა, წიგნი დახურული ედო მუხლებზე, და მხოლოდ თხრობის დამთავრების მერეღა გადაშალა წიგნი და ფოტოგრაფია უჩვენა ბრიდას.

ბრიდამ დაქცეული ციხესიმაგრის ნგრეული ნაშთი მოიხილა – კოშკის ნაშალი და გადარჩენილი კედლები. აგერ შიდა ეზო, აი ემაგ საფეხურთ ასდევდნენ ლონი და ტალბო, ეგ კი კლდის ქიმს მიშენებული კედელია.

– კიდევ რაღაც გინდოდა, რომ გეკითხა ჩემთვის...

მაგრამ ამას ახლა აღარავითარი მნიშვნელობა არა ჰქონდა. ბრიდას საღად აზროვნების უნარი წართმეოდა. რის ვაივაგლახით გაიხსენა, რა უნდოდა, ბოლოსა და ბოლოს მაინც რისი გაგება სურდა.

– ჰო,  მართლა...იმის კითხვა მინდოდა, რატომ ხარჯავ ჩემზე ამდენ დროს? რატომ მასწავლი?

– ამას მოითხოვს ტრადიცია, – მიუგო უიკამ. – შენ მრავალჯერ გარდაიცვალე, მაგრამ შეცვლით დიდად არ შეცვლილხარ. შენ იმ ტიპის ადამიანთ ეკუთვნი, რომელთაც მე და ჩემი სათანადო მოყვასნი მივეკუთვნებით. ჩვენ ისინი ვართ, ვისაც მთვარის ტრადიციის დაცვა ეკისრება.

შენ კუდიანი ხარ, კარესიმი,  გრძნებისმოქმედი.

ბრიდას ყურადღება არ მიუქცევია ამ სიტყვებისთვის, და თავში აზრადაც არ გაუვლია ახალი შეხვედრის თაობაზე რისამე ფიქრი. ახლა მხოლოდ აქედან წასვლა და ყოველივე იმის დანახვა ეწადა, რაც ისევ ადრინდელ, ჩვეულ სამყაროში გადაიყვანდა – ერთი სული ჰქონდა, რომ კვლავ დაენახა კედელზე აჩენილი ნესტის ლაქა, ძირს, იატაკზე დაგდებული სიგარეტის კოლოფი, კონსიერჟის მაგიდაზე ვიღაცისგან დაყრილი და დავიწყებული რაღაც წერილები და ბუკლეტები.

„ხვალ საქმეს შევუდგები“, – გაიფიქრა მან, თავის ახალ განრიგზე მოულოდნელად შეზრუნებულმა.

შინ მიმავალმა გზადაგზა გაიხსენა წინა კვირას გათვლილი ექსპორტთან დაკავშირებული გაანგარიშებანი, რომელ ექსპორტსაც ის კომპანია ეწეოდა, სადაც თვითონ მუშაობდა, და უცაბედად მიხვდა, როგორ უნდა გაემარტივებინა საქმის წარმოების ზოგი რამ პროცედურა. ბრიდა თავისი თავის კმაყოფილი დარჩა – უფროსობამ იქნებ შეაქოს კიდეც ანდა სულაც ხელფასი მოუმატოს.

შინ ცოტა წაივახშმა, ცოტა ხანს ტელევიზორსაც უყურა, მერე თავისი გაანგარიშებანი ქაღალდზე გადაიტანა და გასავათებული ლოგინზე მიეგდო.

მთავარია ტვირთის გაგზავნის საერთო მოცულობის გაანგარიშებანი. აზრი მხოლოდ იმაზე თავისტეხასა აქვს, რისთვისაც გიხდიან.

სხვა ყოველივე უაზრობაა, სიცრუეა.




მთელი მომდევნო კვირა ბრიდა მაღვიძარას აფხიზლებინებდა თავს, უჩვეულო გულმოდგინებითა და სიბეჯითით ირჯებოდა თავის საექსპორტო კომპანიაში და სავსებით დამსახურებულად ექებინებოდა კიდეც უფროსობას. არც ერთ ლექციას არ აცდენდა უნივერსიტეტში, უამრავ ჟურნალს ყიდულობდა და სუყველას თავიდან ბოლომდე აბულბულებდა. ყმაწვილ ქალს მხოლოდ ერთი რამ მოეთხოვებოდა – არაფერზე არ უნდა ეფიქრა. როგორც კი თავისდა უნებურად წამოაგონდებოდა ხოლმე, რომ ტყეში მოგვს გაეცნო, ხოლო ქალაქში – მჩხიბავს, უმალ საგამოცდო სესიაზე გაჩენილი ფიქრი თუ ერთი რომელიმე დაქალის მეორე დაქალზე თქმული გესლიანი რეპლიკა იჭერდა ამ უნებლიე მოგონებათა ადგილს.

დადგა პარასკევი და, როგორც დათქმული ჰქონდათ, ფაკულტეტის კარებთან შეხვდა ლორენსი – ჯერ კინო მოილიეს, მერე ერთ-ერთ ბარს ეწვივნენ, სადაც ყოფნა უყვარდათ, ილაპარაკეს ფილმზე, მეგობრებზე, იმაზე, თუ რა ხდებოდა როგორც ერთის, ისე მეორის სამუშაოზე. და სად იყვნენ, სად არა, ნაცნობთ გადაეყარნენ, ისინი რომელიღაც საღამოს წვეულებიდან ბრუნდებოდნენ, და ახლა ერთად წავიდნენ სავახშმოდ – მე შენ გეტყვი, ცოტაა დუბლინში გვიანობამდე ღია პატარ-პატარა რესტორნები.

ღამის ორ საათზე შეყვარებულნი თანამოვახშმეთ დაემშვიდობნენ და ბრიდასკენ გასწიეს. შინ ბრიდამ დისკი „აირონ ბატერფლაი“* ჩართო, თავისთვისაც და ლორენსისთვისაც ორნახადი ვისკით ძირი მოუფინა სასმისთ. ისინი ყელიყელგადაჭდობილნი დივანზე ისხდნენ მყუდროდ. ლორენსი თმაზე უსვამდა ხელს, ხან კისერზე ეალერსებოდა, ესიყვარულებოდა, მკერდზე იკრავდა.

– რაღაც გიჟური კვირა იყო, – უცებ თქვა ბრიდამ, – სული ვერ მოვითქვი. ეს სამუშაოო, ეს გამოცდებიო, თანაც საყიდლებზე დავრბოდი.

მუსიკა მიწყდა. ბრიდა ფირფიტის გადასაბრუნებლად ადგა.

– გახსოვს, სამზარეულოში პატარა კარადას კარი რომ არ ეკეტებოდა? ბოლოს და ბოლოს დრო გამოვნახე, ხელოსანს დავუძახე, მოვაწესრიგებინე... რამდენჯერმე ბანკშიც ვიყავი... მამაჩემის გადმოგზავნილი ფულის ასაღებად... მერე ჩვენი ფირმის ქვითრებზე ვირბინე... მერე...

ლორენსი თვალს არ აცილებდა ბრიდას.

– ეგრე რად მიყურებ? – თითქმის მტრული კილოთი დაეკითხა ბრიდა. ეს ვინ ოხერი ჩამოსჯდომია წინ – ხმას არ იღებს, მარტო თვალებად არის ქცეული, რამე გონივრულის თქმის თავიც არა აქვს... იდიოტური სიტუაციაა. ეს ლორენსია თუ ვიღაცა, სულაც არ სჭირდება. არც არავინ არ სჭირდება – რას მიყურებ-მეთქი, გეკითხები? – გაიმეორა მან კიდევ უფრო გაღიზიანებულმა.

მაგრამ ლორენსს არც ამჯერად დაუძრავს კრინტი. წამოდგა და ძალიან ნაზად ისევ დივანზე დასვა. თვითონ გვერდით მიუჯდა.

– ყურს არ მიგდებ... – წარმოთქვა თავგზააბნეულმა ბრიდამ.

ლორენსმა კვლავ მიიზიდა გულის სწორი.

„გრძნობები კი ფიცხი ცხენებივით დაქრიან“, – წამოაგონდა ბრიდას.

– ყველაფერი მიამბე, – ისევ ისე ნაზად სთხოვა ლორენსმა, – შენი გადაწყვეტილების მოსმენასაც შევძლებ და გაგებასაც. დავემორჩილები კიდეც. ის კი არა, სხვასთან მივდივარო, რომც მითხრა, მაინც. ჩვენი განშორება რომც მოინდომო, მაშინაც.

„უკვე კარგა ხანია, რაც ჩვენ ერთად ვართ. თუმცა ბოლომდე მაინც არ გიცნობ, არ გიცნობ როგორც ქალს. არ ვიცი, რა გორისა ხარ. დღეს კი მთელი საღამო მგონია, რომ შენ შენ არა ხარ“.

ბრიდას ტირილი მოუნდა. მაგრამ სუყველა ცრემლი უკვე დაელვარა, ვიდრე ღამის წყვდიადში იარა, ვიდრე მოლაპარაკე ტაროს ბანქოს უცქეროდა, ვიდრე მოჯადოებულ ტყეს იყო მოდებული. რაღა გრძნობები და რაღა ფიცხი ცხენები. რა გაეწყობა, ნებაზე უნდა მიუშვას, სხვა გზა არ არის.

და რაკი წამოაგონდა, რომ მოგვსაც დი უიკასაც ეს პოზა უყვარდათ, ბრიდა წინ დაუჯდა ლორენსს. მერე ერთბაშად მოხსნა გუდას პირი და არც გაჩერებულა, გულახდილად უამბო ყველაფერი, რაც კი ტყეში მოგვთან შეხვედრის შემდეგ თავს გადახდა. ლორენსი ჩუმად უსმენდა, სიტყვას არ აწყვეტინებდა, ხოლო როგორც კი ბრიდამ ფოტოგრაფია ახსენა, ჰკითხა, ნუთუ კათართა ამბავი ოდესმე რომელსამე კურსებზე არ გაგიგონიაო.

– ვიცი, არც ერთი ჩემი ნათქვამი სიტყვა არა გჯერა, – მიუგო პასუხად ბრიდამ, – შენი აზრით, ეს გაუცნობიერებლად დამელექა მეხსიერებაში და უბრალოდ ის გავიხსენე, რაც ვიცოდი, მაგრამ დავიწყებული მქონდა. არა, ლორენს,  არცროდის, სიცოცხლეში არა გამეგონა რა კათარებზე. თუმცა შენ ყველაფერს მოუძებნი ახსნა-განმარტებას.

ყმაწვილქალს ორივე ხელი უკანკალებდა. წვალობდა, იქნებ როგორმე მოვერიო კანკალსო, მაგრამ არაფერი არ გამოსდიოდა. ლორენსი ამასობაში წამოდგა, ქაღალდის ფურცელი აიღო და ორ ადგილას გაჩვრიტა ერთმანეთისგან ოცი სანტიმეტრის დაშორებით. შემდეგ ფურცელი შვეულად დააყენა და ბოთლი მიუდგა, არ წაიქცესო.

მერე ახლა სამზარეულოში გავიდა და საცობი მოიტანა.

წამერთ მაგიდას მიუჯდა და ბოთლი და ფურცელი მეორე ბოლოში მისწია, წინ კი საცობი დაიდო.

– მოდი აქ, – უთხრა მან ბრიდას.

ისიც წამოდგა, თან ცდილობდა, რომ ხელების კანკალი დაემალა, თუმცა ლორენსი თითქოს ვერც ხედავდა, არავითარ ყურადღებას არ აქცევდა.

– მოდი წარმოვიდგინოთ, რომ საცობი ელექტრონია, ატომის შემადგენელი ერთ-ერთი ელემენტარული ნაწილი. გასაგებია?

ბრიდამ თავი დაუქნია.

– მაშ, ყურადღებით იყავი. ახლა აქ ურთულესი აპარატურა რომ მქონოდა, რომელიც საშუალებას მომცემდა, რომ ქაღალდის ფურცლის მიმართულებით „ელექტრონი გამესროლა“, ის ელექტრონი ორსავე ნაჩვრეტს ერთდროულად გაივლიდა. მხოლოდ ელექტრონს შეუძლია, რომ გაიაროს ორი ნაჩვრეტი და ამასთანავე არ გაიყოს.

– ეგ შეუძლებელია, – თქვა ბრიდამ, – არა მჯერა.

ლორენსმა ფურცელი დაჭმუჭნა და სანაგვე ვედროში ჩაუძახა. საცობი კი ისევ იქ მიიტანა, საიდანაც აიღო, – ის საერთოდ ძალიან მოწესრიგებული კაცი იყო.

**გადმოაენა**
**გურამ გოგიაშვილმა.**

**(გაგრძელება იქნება)**

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 152-163.**

** ჯგუფი, რომელიც ჰარდ-და ფსიქოდელიკური როკის დამფუძნებლად ითვლება*

◉ ტრანსფერები

# ქართველებმა თავს უშველეს

სატრანსფერო ვადის ამოწურვამდე რამდენიმე საათით ადრე კახი კალაძეს, ეტყობა, საშველი დაადგა.

სხვაგვარად ძნელია შევაფასოთ ის მდგომარეობა, რომელშიც საქართველოს ეროვნული ნაკრების კაპიტანი უკანასკნელ პერიოდში აღმოჩნდა: ათწლიანი „მილანური“ კარიერის მიწურულს „როსონერის“ ახალ თავკაცს ალეგრის ჩვენი თანამემამულე, ძირითად შემადგენლობას ვინლა ჩივის, მატჩის განაცხადშიც კი აღარ შეჰყავდა. ჰოდა, დატრიალდა „კალას“ აგენტი და იგი „ჯენოაში“ გადავიდა.





ლიგურიული კლუბი იტალიის ცხრაგზის ჩემპიონია, თუმცა უკანასკნელად „სკუდეტო“ თითქმის საუკუნის წინათ – 1924 წელს მოიპოვა.

ვიმედოვნებთ, გაფორმებული კონტრაქტით ორივე მხარე კმაყოფილი დარჩება და „ჯვაროსანთა“ დაცვის ბურჯს სათამაშო პრაქტიკის დეფიციტი აღარ ექნება.

იმავე დღეს თბილისის „დინამოს“ წამყვანი უკანახაზელი გურამ კაშია ჰოლანდიის ქალაქ არნემის „ვიტესში“ ჩაირიცხა, რომლის მფლობელიც ახლახან მერაბ ჟორდანია გახდა. შეგახსენებთ, რომ ამ დღეებში იქვე დაიდო ბინა ქართული ფეხბურთის ამომავალმა ვარსკვლავმა გიორგი ჭანტურიამ.

◉ ჭადრაკი

# ნაზიმ ტემპს უმატა



**სანკტ-პეტერბურგში გრძელდება რუსეთის მოჭადრაკე ქალთა მე-60 ჩემპიონატი, რომელშიც ქართველი დიდოსტატი ნაზი პაიკიძეც მონაწილეობს. როგორც გაუწყეთ, ხუთ ტურში მან ოთხ მეტოქეს სძლია და მხოლოდ ერთში დამარცხდა. მე-6 ტურში პაიკიძემ ვერა ნებოლსინას მოუგო და ერთპიროვნულ ლიდერ სვეტლანა მატვეევას წამოეწია.**

საგულისხმოა, რომ საპირველსექტემბროდ ფიდეს რეიტინგში ოცწლიან გოგონათა შორის ნაზიმ მეჩვიდმეტედან მე-11 ადგილზე გადაინაცვლა, თან ქალთა პირველ ასეულში შევიდა და 2376 პუნქტით მეცხრე ათეულში დაიმკვიდრა ადგილი. ამ ასეულს უნგრელი იუდით პოლგარი (2682ძ უდგას სათავეში. ნანა ძაგნიძე მეცხრეა (2534ძ. ასეულში ასევე შედიან მაია ჩიბურდანიძე (2500ძ, ბელა ხოტენაშვილი (2464ძ, ლელა ჯავახიშვილი (2451ძ, სალომე მელია (2439ძ, ნინო ხურციძე (2435ძ, ანა მათნაძე (2428ძ, სოფიკო ხუხაშვილი (2422ძ, ნინო ბაციაშვილი (2390ძ, თამარ წერეთელი (2384ძ, მირანდა მიქაძე (2375ძ და ინგა ჭარხალაშვილი (2375ძ. ვაჟთა ასეულში ერთადერთი წარმომადგენელი გვყავს – ბაადურ ჯობავა, რომელიც 2710 პუნქტით ოცდამეათეა.

**ლაშა დიდია**

◉ კალათბურთი

# ლიტვა – სრული სვლით!

**მოგეხსენებათ, წლევანდელი სამხრეთაფრიკული მუნდიალი ესპანელებმა შვეიცარიელებთან წაგებით დაიწყეს, მაგრამ ოქროს მედლები მაინც მოიპოვეს.**

ეტყობა, თანამემამულეთა მაგალითი გადამდები აღმოჩნდა კალათბურთელთათვის, რადგან თურქეთში მიმდინარე ანალოგიურ ფორუმზე მსოფლიოსა და ევროპის მოქმედმა ჩემპიონებმა ჯგუფური ტურნირის უკვე გამართული სამი მატჩიდან ორში მარცხი იწვნიეს. პირენეელთა ბედად, ასეთი უილბლო სტარტი მათ ამბიციებს არანაირ საფრთხეს არ უქმნის, რადგან გათამაშების დებულებით პლეი-ოფში ბრძოლას თითოეული სექსტეტიდან ოთხ-ოთხი საუკეთესო განაგრძობს, სერხიო კრუნიოლას გუნდი კი, არა გვგონია, ისე დაძაბუნდეს, რომ პროგრამა-მინიმუმი ვერ შეასრულოს.



კიდევ ერთ ფავორიტ ლიტვასთან შეხვედრის პირველი პერიოდი სამხრეთელებმა 11 ქულით მოიგეს. ანალოგიური უპირატესობით შეხვდნენ მეტოქენი დასკვნით მეოთხედს, რაც ნავაროსა და მარკ გაზოლის (18-18 ქულაძ დამსახურება გახლდათ. სწორედ ამ დროს აიწყვიტეს ბალტიისპირელებმა და მატჩის გმირის კლეიზას (17 ქულაძ, აგრეთვე კალნიეტისისა და პოციუსის ძალისხმევით ჯერ მომდევნო ხუთწუთეული მოიგეს მშრალი ანგარიშით – 10:0, ხოლო ბოლო წუთებზე – ნერვების ომი და მთლიანად ბრძოლაც – 75:72.

თუ გავიხსენებთ, რომ ასეთივე სცენარით განვითარდა მოვლენები ესპანელთა სადებიუტო დუელში ფრანგებთან, ლოგიკურ დასკვნამდე მივალთ: ეტყობა, პრობლემა სათანადო ფიზიკური კონდიციების დეფიციტშია, თორემ არა გვგონია, ვარსკვლავთკრებულს კარგად დაწყებული საქმის წარმატებით დასრულება ასე უჭირდეს.

ლიტველებისა არ იყოს, ჯერჯერობით უდანაკარგოდ თამაშობენ ფრანგები და მასპინძლები. „სამფეროვნებმა“ ამ დღეს კანადელებს სძლიეს – 68:63, ხოლო ოსმალებმა პრინციპულ პაექრობაში ბერძნები დაარჩოქეს – 76:65.

◉ დაფასება

# რაინდს „სპორტის რაინდობა“ უბოძეს

**პირველ სექტემბერს ზუსტად ორმოცდაათი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც სახელოვანმა ქართველმა მძლეოსანმა რობერტ შავლაყაძემ რომის ოლიმპიურ თამაშებზე ამერიკელთა ჰეგემონია დაამხო სიმაღლეზე ხტომაში – გადაევლო რა 216 სანტიმეტრზე გადებულ თამასას, შავლაყაძემ ჩემპიონის ოქროს მედალი მოიპოვა.**



1962 წლის ევროპის ჩემპიონატის მესამე პრიზიორმა საბჭოთა კავშირის პირველობებზე ერთხელ პირველი და სამჯერ მეორე ადგილი დაიკავა. სოციალისტური ქვეყნების თამაშების შვიდგზის და ძმები ზნამენსკების მემორიალების ხუთგზის გამარჯვებულია. 1959 წელს აშშ-სსრკ „გიგანტთა მატჩში“ ყველას აჯობა. სპორტის დამსახურებული ოსტატი ღირსების, ვახტანგ გორგასლის II ხარისხისა და სეოკ-ის ორდენების კავალერია.

გუშინ ოლიმპიური ჩემპიონობის მოპოვების ნახევარსაუკუნოვან იუბილესთან დაკავშირებით სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა ლადო ვარძელაშვილმა რობერტ შავლაყაძეს „სპორტის რაინდის“ წოდება მიანიჭა.

**ლექსო ცინცაძე**

◉ ელიტა

# თმა მილიონად დააზღვია



**შამპუნების დამამზადებელმა კომპანიამ Head and Shoulders დააზღვია ფეხბურთის ეროვნული ლიგის (NFLძ კლუბის „პიტსბურგ სტილერის“ მოთამაშის ტროა პოლუმალის თმა მილიონ დოლარად. გრძელთმიანი ფეხბურთელი კომპანიის სახედ აღიარეს.**

შეთანხმება გაფორმდა ლონდონში. როგორც ფეხბურთელმა განაცხადა, ასეთი გრძელი თმა აქვს თავისი მშობლების პატივსაცემად, ფესვები სამოაში რომ აქვთ. მწვანე მინდორზე შეხვედრისას მეტოქეები მას ხშირად თმაში წვდებიან ხოლმე, ამიტომაც დაზღვევა მისთვის ძალზე ხელსაყრელია ფინანსური თვალსაზრისით.

◉ ინტერნეტიდან

## ვითომ გოგონების არყოფნის ბრალია?!

**თურქეთში მიმდინარე კალათბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატზე რუსეთის ნაკრები დამარცხდა მასპინძლებთან 65:56. რასაკვირველია, დაიწყო იმის ძიება, თუ რამ გამოიწვია რუსეთის ნაკრების დამარცხება. აღმოჩნდა, რომ მას თამაშის დროს მხარს ვერ უჭერდა ქალთა თანმხლები გუნდი, თავისი ცეკვა-თამაშით.**

და იცით, რა ყოფილა ამის მიზეზი? თურმე ამ მატჩს ესწრებოდა თურქეთის პრემიერ-მინისტრი რეჯეპ ტაიპ ერდოგანი ცოლთან ერთად. შარიათის მკაცრი საოჯახო კანონების მიხედვით შეჯიბრების ორგანიზატორებმა აუკრძალეს მხარდამჭერი ჯგუფის გოგონებს „ხიმკის“ კლუბიდან, ეცეკვათ ამ დაძაბული შეხვედრის შესვენებებზე, რამაც დევიდ ბლატის გუნდში დისკომფორტი გამოიწვია და დამარცხებამდე მიიყვანაო.



როგორც ამბობენ, პლანეტის პირველობაზე ჩასულია მხარდამჭერთა ოთხი ჯგუფი აღმოსავლეთ ევროპიდან – რუსეთის ცსკა-დან და „ხიმკიდან“, უკრაინიდან და ლიტვიდან.

## გარდაიცვალა უკანასკნელი მოჰიკანი

**ბუენოს-აირესის მახლობლად თავის სახლში გარდაიცვალა სახელგანთქმული არგენტინელი ფეხბურთელი, 100 წლის ფრანსისკო ვარალო.**

ის იყო ფეხბურთის ისტორიაში პირველი მსოფლიო ჩემპიონატის ერთადერთი ცოცხალი მონაწილე, რომელიც 1930 წელს გაიმართა ურუგვაიში. მაშინ ურუგვაის ნაკრებმა ფინალში დაამარცხა არგენტინა – 4:2. ნაკრებში ის მოხვდა, როგორც მოყვარული. შემდეგ კი თამაშობდა „ბოკა ხუნიორსში“, იყო არგენტინის სამგზის ჩემპიონი, სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატის გამარჯვებული.



განთქმულმა ბომბარდირმა 209 თამაშში 181 ბურთი გაიტანა.

## ყველაზე ლამაზნი

**რუმინულმა გამოცემამ Click მკითხველებში მოაწყო გამოკითხვა, თუ ვინაა ყველაზე სექსუალური ათლეტი ქალი.**

პირველი ადგილი დაიკავა ხელბურთელმა ადა ნეჩიტამ. მან სახელი გაითქვა თავისი პიკანტური ფოტოსესიებით.



მეორე ადგილზეა ავტომრბოლი ანდრეა ნიკულა. ყველას გაუკვირდა, როცა კაცებმა ის პირველ ადგილზე არ დააყენეს. იქნებ ავტომანქანაში კარგად არ ჩანდა?

მესამე ადგილი დაიკავა სპორტიდან კარგა ხნის წინათ წასულმა მხატვრულმა ტანმოვარჯიშემ ვანდა ხედერიანმა (ფოტოზეძ. ის უკვე 34 წლისაა, ამიტომ ახალგაზრდებს სათანადო მეტოქეობა ვერ გაუწია.

მომდევნო ადგილებზე გავიდნენ კალათბურთელი ალექსანდრა უიუიუ და ჩოგბურთელი სორანა კირსტეა.

## ირონიული „ბულბულის ნისკარტი“

**სჯობდა, ბატონო, ის დრო, აპა, არ სჯობდააა... იძლეოდა ღიმილ-ღიმილით საგზურს პროფკავშირი, ბორჯომი ჩვენი (ფულნაკლული ხალხისძ იყო და საირმე, ქობულეთი და სოხუმი. კი, გაგრაშიც შევდიოდით ცოტა უფრო ფულიანები. იქით – არა, ბიჭვინთა „სვეტების“ იყო ძირითადად. ყოფილიყო ბატონო, ოღონდ ჩვენი რძეოდა და ვინ ილებდა ხმას, ევლოთ თეძოების რხევით ტიტლიკანა რუსის „ნაშებს“... ეეეე, მორჩა ყველაფერი... როგორც ქართული მასმედიის მახვილგონივრული სლოგანი გვაუწყებს, გვახსოვდეს მაინც აფხაზეთი... (ვაიმე, თემას გადავუხვიე, პოლიტიკაში ვკარი ცხვირი და უმალ უნდა შევაჩერო „ბულბულის ნისკარტი“, სდექ!...ძ**

ჰოდა, ახლა ჩემისთანა ხალხი (მიშა რომ უწოდებს „ჩარეცხილ“ „საშუალო ფენას“ძ, სადღა წავიდეს შვებულებაში!.. სისხლი მეყინება, ხურდებს ვეძებ, გამომაქვს და მუჭაში ვუყრი ციცქნა ბიჭს.

რამდენი ასეთი უწლოვანი თუ ზრდასრულია დღეს მოდებული მთელ ქალაქს! რა ეშველება, პრეზიდენტო, ამათ?!.

...ევროპა და აზია წყალს მიაქვს, ადამიანების სიცოცხლე შეიწირა სტიქიამ პოლონეთში, ჩეხეთში, ინდონეზიაში, პაკისტანში... გერმანია ემზადება – სილით სავსე ტომრებით ამაგრებენ ოდერის ნაპირებს... საქართველოშიც ასეთი გაუსაძლისი სიცხეები არავის ახსოვს. ა, ბატონო, განადგურებულია თითქმის მთელი წლის მოსავალი კახეთში, ქვემო ქართლში... არც დასავლეთ საქართველოს ადგას კარგი დღე... ჩემი დაკვირვებით, მეორედ მოსვლაც სწორედ ეგ არის – ხან აქ, ხან იქ ქარიშხალი, გრიგალი, წყალდიდობა, მიწისძვრა და სხვა ათასი უბედურება ცოდვილ დედამიწაზე...

# შვებულებასავით დღეები ტელევიზორის წინ „ნატახტართან“ ერთად

...აი, სეირი! წამოვწვები ახლა ქუთაისურ ტახტზე, დავიდგამ „ნატახტარს“ შორიახლო და ჩვენი მთავრობის გაფართოებული სხდომაც დაიწყება ყვარლის ტბასთან.

აჰა, წავიდა...

მინისტრები აშკარად აწონებენ თავს პრეზიდენტს, ციფრებს და ფაქტებს იშველიებენ (მაგათ ჰგონიათ, სჯერა მიშასძ, ნეტა საქმე იყოს საკეთებელი და ვის ეშვებულებება... თუმცა, ნამეტანი რომ არ დაისიცხო, მაინც გინდა კაცს, რამდენიმე შვებულებასავით დღე მოფარებულში გაატარო, ძალები აღიდგინო და მერე ისევ შეუტიო ამ მურტალ ცხოვრებას, საზოგადოებრივი მაუწყებლის ეკრანზე რომ „მშვენივრად“ ჩანს... ჰოდა, მეც ვატარებ სახლში რამდენიმე დღეს, ჯიბეს ჩვენი ბუღალტრის ნაწყალობევი რამდენიმე ოცლარიანი მიმშვენებს, ჩართული მაქვს ჯანგაუტეხელი, ბარე 15 წლის ტელევიზორი, ხან სიდედრის ნაჩუქარ მარელისურ სკამზე ჩამოვჯდები, ხან ქუთაისში დამზადებულ ტახტზე წამოვწვები და შევჩერებივარ ტელევიზორის თვალჟუჟუნა, ენამჭევრ დიქტორებს, შიგადაშიგ რუსულ გადაცემებსაც მივაყურადებ ხოლმე სააკაშვილის ჯიბრზე...



...აი, რეკლამაც გამოჩნდა, ჩემო ბატონო, გამოჩნდა, რა გამოჩნდა – ქართული ეკონომიკის ლიდერის – ლუდსახარშ „ნატახტარის“ რეკლამა. რაიო? – გაატარეთ მთელი ზაფხული „ნატახტართან“ ერთად, თუ გსურთ ფულის მოგებაო?! ბიჭო, რავა არ მსურს, მაგრამ ამისთვის საჭიროა, რომელიმე საცობზე ეწეროს მოგება!..

უყურე შენ! თანამედროვე ბიზნესმენის სიგამჭრიახე მთლად „ნატახტარის“ პატრონებისთვის არ დაუზერტყავს ღმერთს! რას არ იგონებენ ჩვენი მოთმინებაგაკაჟებული ხალხის საკეთილდღეოდ. იმ ბედოვლათ ქართველებს კი არ გვანან, ყანწის ტრიალი რომ ელანდებათ ნიადაგ. რამდენიმე წლის წინათ არ იყო, „კოკა-კოლაც“ რომ ძალიან ზრუნავდა?.. აგროვეთ სახურავები და შეიძლება „უემბლიზე“ ამოჰყოთ თავი ფეხბურთში ევროპის ჩემპიონატზეო... სვეს და სვეს იმედიანმა ქართველებმა, გაიჭყიპა ქვეყანა მადლიანი ქიმიურით, ვიღას უნდოდა „უემბლი“ – აზარტი იყო მთავარი...

მოდი, ვითამაშებ, ცოტა ძვირი კი ღირს ეს „ნატახტარი“, მაგრამ გავრისკავ, თან იმერულად შეკმაზულ აჯაფსანდალთან ერთად ვწრუპავ და ვწრუპავ...

გავდივარ, მომაქვს მარკეტიდან 10 ბოთლი, ვინ იცის, იქნებ უკვე მსუბუქი ავტომანქანა შემოვაგრიალე უბანში... ნელ-ნელა ვხსნი, რა მეჩქარება...

ზარის ხმა, ტელევიზორს ჩავუწიე, გავედი, კარი გავაღე, თითისტოლა, 4-5 წლის ფერმკრთალი ბიჭუნა დგას ჩემს წინ. „დამეხმარე, ბიძია, რაა?“ იქვე მოხუცი ქალი ელოდება (ეტყობა, ზარი მან დარეკაძ, მორიდებით შემომცქერის ისიც.

ვაი, სულო, რა კარგად ყოფილა ირგვლივ ყველაფერი. მე უბედური კი ვერ ვამჩნევდი... ეკონომიკის საკითხებზე მსჯელობამ ხომ მთლად იმედით აღმავსო. ღმერთო, შენ მაცოცხლე ერთი ათი წელიწადი მაინც (აი, მაშინ დავისვენებ, ან ბათუმში, ან ანტალიაშიძ, რომ სააკაშვილის გულმხურვალე დაპირებები ფრთაშესხმული ვნახო!..

ბოლო ბოთლიც გავხსენი... სად არის „ნატახტარის“ გულდამწვარნო ჭირისუფალნო, მოგება?!. ჩემი ბრალია – ერთი ყუთი უნდა მეყიდა... რას იზამ, ვაპატიოთ ხალხზე მოფიქრალ, დიდი მომავლის მქონე ბიზნესმენებს!.. სამაგიეროდ, ცოტა გამასუქა აჯაფსანდალმა და ლუდმა. კარგია, სამსახურში დაბრუნებულს უწინდელივით ველარ მეტყვიან, რას გავხარ, ბიჭო, რავა ლანდი გაგდის ყბებშიო...

ჰოდა, მგონი მადლობელიც კი ვარ თქვენი, „ნატახტარის“ გულდამწვარნო ჭირისუფალნო!

ასე იყო ჩემი საქმე იმ რამდენიმე დღეს. მომწყინდა ლუდი (გათავდა ფულიძ, აჯაფსანდალი, ჟაშკულამიანი მწვანე ლობიო... მიილია შვებულებასავით დღეები...

სულ ეს იყო?.. დანარჩენ დროს, როცა ტელევიზორს არ უყურებდი, რას აკეთებდი, ქართული პრესის საიმედო წარმომადგენელოო, გაიკვირვებთ თქვენ.

რას ვაკეთებდი და „ბულბულის ნისკარტით“ ვწერდი კიდევ რაღაც-რაღაცებს, რომელსაც ნელ-ნელა შევთავაზებ ჩემს ერთგულ მკითხველს...

ახლა გამოვრთავ „ვენტილიატორს“ (რუსულ-ქართულ ლექსიკონში „სანიავედ“ რომაა განმარტებულიძ, თვარა ნამეტანი „გარეკა“ ელექტრომრიცხველმა ამ დღეებში...

ჰოდა, მივდივარ რედაქციისკენ!

**ვილენ მარდალეიშვილი**

---

ალეკო კაკულია, ნინო ბეჟიტაშვილი თანაუგრძნობენ ბატონ შალვა ტურავას ძვირფასი დის, უსათნოესი და ღვაწლმოსილი ადამიანის

თინა ტურავას

გარდაცვალების გამო.

---

## ხსოვნა

# ციცო ხარაიშვილი

ა. ღვამიჩავას სახელობის ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრი, კ.ჩეფხვაძის სახელობის ონკოლოგთა საზოგადოება, საქართველოს ონკოლოგთა ასოციაცია და აკად. ლევან ჩარკვიანის სახელობის გინეკოლოგიური კლინიკა ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი მეცნიერი და კლინიცისტი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ციცო ხარაიშვილი.

წავიდა ჩვენგან საამაყო ქართველი ქალი, ჭეშმარიტი მამულიშვილი, ნიჭიერი მეცნიერი და გამოცდილი ექიმი-ონკოგინეკოლოგი. ადამიანი, რომელიც ასხივებდა სიკეთეს, იყო ულალატო მეგობარი და საუკეთესო მრჩეველი.



ყველას მოაკლდება მისი სითბო და სიყვარული. მძიმეა დაჯერება, რომ მისმა ოცნებებმა, მიზნებმა და იმედებმა ასე მოულოდნელად შეწყვიტა არსებობა. უნდოდა ყველაფერი ლამაზად და ღირსეულად ეკეთებინა, საოცრად უყვარდა სიცოცხლე...

ციცო ხარაიშვილი დაიბადა 1945 წლის 1 ივნისს, მედიკოსთა ოჯახში. საუკეთესო სამედიცინო ტრადიციებზე აღზრდილი, ბავშვობიდანვე ეზიარა და მთელი თავისი ცხოვრება მიუძღვნა მედიცინას.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ 3 წელი მუშობდა ნატანების ამბულატორიის ექიმ-გინეკოლოგად, შემდეგ – მეან-გინეკოლოგად ოზურგეთის სამშობიარო სახლში. ონკოლოგიის სამეცნიერო ცენტრში მუშაობა დაიწყო 1977 წლიდან და მას შემდეგ განვლო პროფესიული გზა ექიმი-ორდინატორის თანამდებობიდან – განყოფილების უფროს მეცნიერ-თანამშრომლამდე და წამყვან სპეციალისტამდე. 1977 წლიდანვე მიწვეული იყო ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც პარალელურად შეუდგა სამეცნიერო და პედაგოგიურ საქმიანობას.

1985 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია.

1997 წელს გახდა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

ყოველმხრივ განათლებული, ერუდირებული ახალგაზრდა მეცნიერი და დოქტორი ერთი წუთითაც არ აძლევდა საკუთარ თავს მოდუნების საშუალებას, არ ისვენებდა, აგრძელებდა პროფესიულ სრულყოფას, იყო მრავალი კონფერენციისა და ფორუმის მონაწილე, 70-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. მისი სამეცნიერო მიღწევები ასახულია 200-ზე მეტ პუბლიკაციაში, მათ შორის ერთ მონოგრაფიაში. თავისი საქმის უბადლო ოსტატი, ყოველთვის დიდ ყურადღებას უთმობდა სამეცნიერო კადრების აღზრდას. მისი ხელმძღვანელობით დაცულია 10 საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია.

მისი ცხოვრება, აღსავსე შრომით, ძიებით, წარმატებებითა და გამარჯვებებით, არ ყოფილა ია-ვარდით მოფენილი. მეუღლის გარდაცვალებით მიყენებული ტკივილი დაჰქონდა გულით, მაგრამ თავისი ტრაგედია სხვისთვის თავს არასოდეს მოუხვევია, ტკივილნარევი გამოხედვის უკან არასოდეს იგრძნობოდა პესიმიზმი. დიდი ოჯახისა და ნათესაობის წინამძღვარი და იმედი იყო, ყველას გზამკვლევი და პატრონი. საოცრად უყვარდა ბავშვები. საკუთარ შვილებზე ოცნებას მიუძღვნა ზრუნვა დისშვილებზე, ახლობლებზე და ნათესავებზე. იხარჯებოდა თავდაუზოგავად, სრულად. თითქოს უნდოდა ყველაფერი მოესწრო, თითქოს არ ყოფნიდა დღე-ღამეში 24 საათი.

ჰქონდა ძალიან ლამაზი თვალები, საოცრად თბილი ღიმილი და კეთილშობილი სული. მომავლის იმედი არასოდეს დაუკარგავს, წინ იცქირებოდა და ნათელ მომავალს შეჰნატროდა. მისი ცხოვრება სამაგალითოა ყოველი ჩვენგანისათვის, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობისათვის. სამაგალითოა მისი შრომისმოყვარეობა, ენერგიულობა, სიკეთე და ბევრი სხვა თვისება, რაც ასე ამშვენებდა და აკეთილშობილებდა მის პიროვნებას.

ჩინეთში ონკოლოგთა საერთაშორისო კონგრესიდან ახლახან დაბრუნებული, აღვსილი იყო ნოვატორული იდეებითა და სამომავლო გეგმებით. ვერც კი მოასწრო მათი ჩვენთვის გაზიარება... არავინ ელოდა ასეთ ტრაგიკულ დასასრულს. თავზარდამცემმა ამბავმა შეძრა საზოგადოება და უძლური დაგვტოვა მძიმე რეალობის წინაშე. უეცრად შეწყვეტილი სიცოცხლე მარადიულობას გაჰყვა, მაგრამ დარჩა ხსოვნა, რომელიც არასოდეს დაბერდება და სიყვარული, რომელიც არასოდეს მოკვდება.

**ონკოცენტრის ადმინისტრაცია და კოლექტივი**

---

# ციცო ხარაიშვილი



არაერთი უაღრესად სევდიანი მაგალითი არსებობს ცნობილი ადამიანის წასვლისა ამ ქვეყნიდან მხოლოდ იმიტომ, რომ სიცოცხლის რომელიღაც მონაკვეთზე ცხოვრებისეული საყრდენი შემოეცალა.

არსებობენ ადამიანები, რომელთა შესახებ წარსულში ლაპარაკი ძალიან ძნელია. ასეთ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნება თვალსაჩინო ქართველი ონკოლოგი, მეცნიერი, პედაგოგი, მეგობარი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ქალბატონი ციცო ხარაიშვილი, რომლის სიცოცხლეც მოულოდნელად ტრაგიკულად შეწყდა 2010 წლის 30 აგვისტოს.

ძალიან ძნელია, ზოგჯერ შეუძლებელიც, მეგობრის გარდაცვლილად მოხსენიება, მით უმეტეს მაშინ, თუ მასთან უკანასკნელი შეხვედრის შემდეგ მცირე დროა გასული და არც კი გჯერა, რომ ის ცოცხალი აღარ არის.

მისი წასვლა ჭეშმარიტად დიდი დანაკლისია როგორც ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრის კოლექტივისა და გინეკოლოგიური საზოგადოებისთვის, ისე იმ ადამიანებისათვის, ვისთანაც ქალბატონ ციცოს ჰქონდა შეხება. თავისი დაუშრეტელი ენერგიით იგი იყო ყველას ჭირისა და ლხინის გამზიარებელი, მუდამ მომღიმარი, მიმტევებელი. იყო ჭეშმარიტი ექიმი, ქირურგი, მეცნიერი, არაჩვეულებრივი პედაგოგი. შეუძლებელია არ მოხიბლულიყავი მისი გულითადობით და ზრუნვით, რომელსაც ის იჩენდა ახალგაზრდა ექიმების მიმართ. ყოველთვის გულთან ახლოს მიჰქონდა ავადმყოფის მდგომარეობა, ის უშურველად გასცემდა იმ დიდ სითბოს და მზრუნველობას, რომელიც ასე სჭირდება თითოეულ ადამიანს. მის გარშემო ყოველთვის არსებობდა სივრცე, სადაც თითოეულ პიროვნებას შეეძლო გამოევლინა საუკეთესო თვისებები.

წავიდა ქალბატონი ციცო ამ ქვეყნიდან, წავიდა და თან წაიყოლა პაციენტების უსაზღვრო მადლიერება, კოლეგების ღრმა პატივისცემა, აღზრდილთა თაყვანისცემა და მთელი ქართველი საზოგადოების დიდი სიყვარული. თავის კოლეგებს და ახლობლებს დაუტოვა ადამიანური ღირსების, უსაზღვრო ერთგულებისა და სიყვარულის დაუვიწყარი მაგალითი.

ძნელი წარმოსადგენია, რომ აღარ არის სიცოცხლით სავსე, ხალისიანი, ნიჭიერი ადამიანი ქალბატონი ციცო ხარაიშვილი. სამწუხარო რეალობაა, როდესაც ასეთი შესანიშნავი პიროვნება მხოლოდ წარსულში არსებობდა და მხოლოდ ტკივილიან მოგონებას აღძრავს.

ქალბატონი ციცოს ცხოვრება და პროფესიული საქმიანობა მაგალითი უნდა იყოს მომდევნო თაობებისთვის. ასეთ ადამიანებს დავიწყება არ უწერიათ.

**საქართველოს გინეკოლოგ-ონკოლოგთა საზოგადოება, პროფ. ა. ღვამიჩავას სახელობის ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრის გინეკოლოგიური კლინიკა**

---

დები ნუნუ, ნატო ხარაიშვილები, შვილები ლელა, ლევანი, სალომე, ნიკო, შვილიშვილები გიორგი, ირაკლი კილაძეები, სიძეები არჩილ მეტონიძე, ხახუტა თოთიბაძე მწუხარებით იუწყებიან

ციცო ნიკოლოზის ასულ ხარაიშვილის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 2, 3 IX, დაკრძალვა 4 IX, 14 სთ. მისამართი: ყაზბეგის 11ა.

---

დები ნუნუ, ნატო ხარაიშვილები, დისწულები ლელა, ლევან მეტონიძეები, სალომე, ნიკო თოთიბაძეები, სიძეები არჩილ მეტონიძე, ხახუტა თოთიბაძე მწუხარებით იუწყებიან

მერი ხარაიშვილისა და პატარა ანანო მგელაძის

გარდაცვალებას.

---

პედიატრიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ ამავე ინსტიტუტის ექიმ-პედიატრს ირინა გორგიშელს გარდაეცვალა და

ციცო გორგიშელი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

## გზასავალი

# ღვთისნიერი კაცის იუბილე

**შემთხვევითი არ გახლავთ, რომ ჟურნალისტ მურად (მამიაძ ალაშვილის შემოქმედებითი საღამო წმინდა სამების საკათედრო ტაძარში, ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის დარბაზში გაიმართა. ვინც ბატონ მურადს იცნობს, კარგად უწყის, რომ მან პატიოსნად, მოკრძალებულად და სიყვარულით განვლო ცხოვრების გზასავალი. ამიტომაც მისი 65 წლის აღსანიშნავი საღამოც შეხვედრის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა და წამყვანმა, კეთილი ნების საერთაშორისო კავშირ „სოლიდარობის“ თავმჯდომარემ თამაზ ბიბილურმა მოკრძალებულ იუბილედ მონათლა.**



შეხვედრის ორგანიზატორები იყვნენ, აგრეთვე, გაზეთ „სვობოდნაია გრუზიას“ რედაქცია და საინფორმაციო სააგენტო „ახალი ამბები-საქართველო.“ ბატონი მურადი, ძირითადად, ამ ორ საინფორმაციო მედიასაშუალებაში მოღვაწეობს.

ღვაწლმოსილ ჟურნალისტს იუბილე მიულოცა ქალბატონმა ია ბაგრატიონ-მუხრანელმა. მისი თქმით, დღეს მავანს ჰგონია, რომ ჟურნალისტიკის ისტორია „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ დაიწყო და თავადაა მისი საფუძვლის ჩამყრელი, მურად ალაშვილის მსგავსი თავდადებული პრესის მუშაკნი კი უსამართლოდ ჩრდილში არიან მოქცეული. არადა, ქართული ჟურნალისტიკა სწორედ ასეთ ადამიანთა არსებობით ინარჩუნებს სიმაღლესა და ზნეობრიობასო.

ია ბაგრატიონმა ბატონ მურადს ახლად გამოცემული წიგნი „საქართველოს თავადაზნაურობა“ უსახსოვრა, რომელიც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია მეორეს ეძღვნება და ბატონი მურადი ამ წიგნის შექმნის ყოველი ეტაპის მონაწილეა.

ცნობილმა ჟურნალისტმა და ლიტერატორმა გურამ გოგიაშვილმა ყურადღება გაამახვილა ქართული ჟურნალისტიკის პრობლემებზეც. მისი თქმით, საზოგადოებრივი თვალსაზრისით იმიტომ არაფერი კეთდება, რომ პრესამ ძალა დაკარგა. წერე და იკითხე — ასეთი ეპოქა დაგვიდგა. რომელიმე სოფლის გამგებელს თუ აგებინეს პასუხი გაზეთში გამოქვეყნებული სტატიის გამო, გუბერნატორებსა და სხვა თანამდებობის პირებზე აღარაფერს ვამბობ? — დასვა კითხვა ბატონმა გურამმა, და იქვე დასძინა — გული მტკივა, რომ პრესამ ძალა დაკარგა, რომ მურად ალაშვილის მსგავსი ჟურნალისტები დღეს ამინდს ვერ ქმნიან საქართველოშიო.

იმ დღეს უამრავი თბილი სიტყვა ითქვა ბატონი მურადის მისამართით — ალალი, დაუზარელი, ფუტკარივით მშრომელი, გულისხმიერი, უპრეტენზიო, დიდი გულის კაცი...

იუბილარს მიესალმნენ: სულიერი ძმა მალხაზ ჩოჩია, მეგობრები: როლანდ სინატაშვილი, რომან სოლოღაშვილი, ფრიდონ სიხარულიძე, გოლიათ კეკელია, სერგო ფარუმბეგოვი, უკრაინული ასოციაციის წარმომადგენელი ნატალია დერკანა. მათ ყურადღება გაამახვილეს ბატონი მურადის ფოტოებზეც - სიტყვაზე მეტი ძალა ფოტოს აქვს, ფოტო წამია და ეს წამი უკვდავიაო.

მართლაც, სათქმელს მეყსეულად ამბობდნენ ახალგაზრდულ ცენტრში გამოფენილი რელიგიურ თემაზე შექმნილი სურათები. იდეაც იშვა — შეიქმნას პროფესიულ-ტექნიკური ფოტოსასწავლებელი, რომ ახალგაზრდები ფოტოხელოვანის სპეციალობას დაეუფლონო.

დაბოლოს, საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის „სხივის“ ხელმძღვანელმა თამაზ ბიბილურმა სასიხარულო ამბავი გვამცნო — დაწესდება ჟურნალისტ ნაზი შამანაურის სახელობის პრემია და მისი პირველი ლაურეატი სწორედ მურად ალაშვილი იქნება.

წინასწარ არაფერს ვგეგმავ, განგებას ვარ მინდობილიო — გაგვანდო ბატონმა მურადმა. ეს საღამოც განგების ლამაზი საჩუქარი იყო, რომლის თანამონაწილენი ჩვენც გავხდით, და რომელმაც მურად ალაშვილის ღვთისნიერი ადამიანის სახით ოაზისში წყარო გვაპოვნინა...

**თამარ შაიშმელაშვილი**

## დღის კალენდარი

### 2 სექტემბერი

**ხსენება წინასწარმეტყველ სამუელისა (XI ს. ქრისტეს შობამდე). მოწამეთა: სევირისა, მემნონისა და მათთან 37 მოწამეთა (304წ. დიდგორობა — ქვაბთახევის მონასტრის ზემოთ მთაში (ქართლში).**



**ამოდის 05.28**
**ჩადის 18.33**



**ამოდის 23.11**
**ჩადის 14.02**

### დაიბადნენ:

1852 — **პოლ ბურჟე,** ფრანგი მწერალი, პუბლიცისტი.
1926 — **ევგენი ლეონოვი,** ცნობილი რუსი კინომსახიობი.
1935 — **ვალენტინ გაფტი,** თვალსაჩინო რუსი მსახიობი.

### გარდაიცვალნენ:

1937 — **პიერ დე კუბერტენი,** ოლიმპიური თამაშების ფუძემდებელი. შეჯიბრების აღორძინების იდეა მას საბერძნეთში, ძველი ოლიმპოს ადგილების არქეოლოგიური გათხრების დათვალიერებისას დაებადა.

2001 — **კრისტიან ბერნარდი,** სამხრეთაფრიკელი ქირურგი, რომელმაც 1969 წელს მსოფლიოში გულის გადანერგვის პირველი ოპერაცია გააკეთა.

### მოვლენები:

**490 ჩვ. წ. აღ.** — ძველი საბერძნეთის მეომარი ფიდიპიდი მარათონიდან ათენში სირბილით ჩავიდა, რათა თანამემამულეებისთვის სპარსელებზე გამარჯვება ეხარებინა. ქალაქის მთავარ მოედანზე მეომარმა მოასწრო ეთქვა: „გაიხარეთ, ჩვენ გავიმარჯვეთ“, დაეცა და სული განუტევა. მას შემდეგ მარათონული რბენა კლასიკური დისტანცია გახდა (42 კმ 195 მ).

**31 ჩვ. წ. აღ.** — რომის კონსულ ოქტავიანეს მხედართმთავარმა ვირსანი აგრიპამ საზღვაო ბრძოლაში დაამარცხა ეგვიპტის დედოფლის კლეოპატრას ფლოტი.

**1666** — მოხდა ლონდონის დიდი ხანძარი, რომლის შედეგად ქალაქის სახლების 80 პროცენტი, 89 ეკლესია და წმიდა პავლეს კათედრალური ტაძარი დაიწვა.

**1870** — იმპერატორმა ნაპოლეონ III-მ უარი განაცხადა ტახტზე და ორი დღის შემდეგ საფრანგეთში მესამე რესპუბლიკა გამოცხადდა.

**1870** — გაიმართა სედანის ბრძოლა. გერმანელებმა დაამარცხეს ფრანგთა არმია. იმპერატორი ნაპოლეონ III დანებდა გერმანელებს.

**1991** — გაიხსნა საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატთა მეხუთე რიგგარეშე ყრილობა. ყრილობაზე, ფაქტობრივად სსრკ დაიშალა — გამოცხადდა ლატვიის, ლიტვის და ესტონეთის დამოუკიდებლობა.

**ღირსსახსოვარი დღეები:**

**ავსტრალია** — მამების დღე.
**აშშ, კანადა, ვირჯინიის კუნძულები** — შრომის დღე.
**ვიეტნამი** — დემოკრატიული რესპუბლიკის დღე.

**მედიანიუსი**

**რეკლამა** გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
99-62-77; 899 32-85-76.

## ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი



| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.8283 ლარი |
| 1 ევრო | – 2.3229 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.8426 ლარი |
| 100 რუბლი | – 5.0609 ლარი |
| 1000 სომ. დრამი | – 5.0238 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.2963 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.3390 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.2114 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.7202 ლარი |



## ამინდი დღეს



| | |
|---|---|
| თბილისი. | +19 — +36 |
| ქუთაისი. | +23 — +36 |
| ბათუმი. | +21 — +29 |
| ზუგდიდი. | +22 — +36 |
| თელავი. | +19 — +33 |

## კადრი



## ანეკდოტები

მამას ბიჭი ტუალეტში შეჰყავს:

— ადამიანზე შეიძლება იმსჯელო იმის მიხედვით, თუ რას კითხულობს ის აქ. აბა, ნახე, მე უკვე მესამედ ვკითხულობ „ომსა და მშვიდობას“, დედაშენი — „მთვარის მოტაცებას“, პაპაშენი — „რობინზონ კრუზოს“, შენ კი რას კითხულობ? რაღაც იაფასიან ანეკდოტებს, რას ნიშნავს ეს?

— იმას, რომ ყაბზობას უნდა უმკურნალოთ და არ კი იამაყოთ!

* * *

სტატისტიკას თუ დავუჯერებთ, ქალების 70 პროცენტი არ ნებდება პიანოზს და 30 პროცენტი კი პიანოზიორს.



* * *

საგიჟეთში ავადმყოფები დილით ტელევიზორში უკანასკნელ ცნობებს უყურებენ. ერთმა ამ დროს სიხარულით წამოიძახა:

— რა კარგია, რომ საგიჟეთში ვარ!

ამ დროს ერთი სანიტარი მეორეს ეუბნება:

— ეს, როგორც ჩანს, გამოჯანმრთელდა!

* * *

— ქალიშვილო, ქორწილი მალე გექნებათ?

— არა მგონია, უცნაური საქმრო მყავს. მითხრა, ყველა ჩემი ნათესავი უნდა გაგაცნოო. გუშინ ზოოპარკში წამიყვანა ყველაზე შორეული წინაპრის გასაცნობად.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77;
899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.